


F 412  
1960

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



დროშა  
№ 6 ივნისი 1960





კომუნისტური  
ბრძოლისთვის



კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ლომიძე



# გაზაფხული იყო

საქართველო  
გეოლოგიები

## აღაზნის კუნძუ

კობე ჯავრიძე

(გზადაგზა ჩანაწერები)

ფოტო გურამ თიქანაძისა

1

2

გაზაფხული იყო ალაზნზე... აპრილის დასასრულს ჭერ კიდევ დარები ვერ დაეჭირა, თითქმის ყოველდამ წვიმდა. დილაობით ალაზნის ველს თხელი ნისლი — წიწამური ეფინებოდა, მერე ნისლი იფანტებოდა და ის იყო კაცი იფიქრებდა გამოიდარაო, ცივგომბორსა და კავკასიონზე დაბუდებული ღრუბლები ისევ პირს შეიკრავდნენ და ალაზნის ველზე ჩამოლამდებოდა და აწვიმდებოდა.

მაგრამ ცივგომბორის კალთებსა და ალაზნის ველზე — ახმეტის მთებიდან მოკიდებული სიღნაღის რაიონის კიდემდე და ალაზნის ველზე — აღვნივნიდან ლაგოდების სამხრეთ საზღვრებამდე გადაფენილ ზვრებში გასულ ადამიანებს ვერც თქორი, ვერც ატალახებული ნიადაგი, ვერც აღიდებული ხეები ვერ უშლიდნენ. ზვარ-ვენახებში გაზაფხული იყო შემოსული და დაკარგული ყოველი დღე რთველში ტონობით დაკარგული ყურძნით გაიზომებოდა...

კახეთის გეოგრაფია შეიძლება სამარკო ღვინოების ეტიკეტებით შეისწავლო. ყოველი მათგანი ხომ სოფლის ან სახელგანთქმული ვენახის სახელწოდებაა: ახმეტა, წინანდალი და მუკუჯანი; ახაშენი, გურჯაანი და კარდანახი, ტიბანი, ანაგა და ხირსა — გამოდმა; მატანი და ნაფარეული, ენისელი და ყვარელი — გაღმა. და ახლა ყველგან: ახმეტის „მეყანთ ნაკვეთებში“ თუ ენისლის „იაკობის ზვრებში“, შილდის „გუნაშაურსა“ და ყვარლის „ქინძმარაულში“, გრემის „ქალქებში“, თუ ჭიკანის „შუამაგრებში“ სახელმძღვანელო მევენახეები და გასულ შემოდგომას სკოლადამთავრებულნი, მოხუცები და ახალნორჩები, ქალი და კაცი მოსდებოდა ვენახებს — სხლავდნენ და აკრავდნენ ჭერ კიდევ შეუფოთლავ და კვირტებგაღვივებულ ვაზებს.

...გრემის ნაქალაქართან რომ შარაგზას გადაუხვიოთ და ინწობის ხეობის მარჯვენა ნაპირებს აპყვეთ, ვრცელსა და მყუდრო ტაფობს — ნატბევარს დაინახავთ. აქ გრემელთა ვენახებია.

ვანო ეუვიშვილის მთელი სიცოცხლე, შრომა, ოჯახი, სიხარული და განსაცდელი, ბედნიერება და გაჭირვება ვენახთან განუყრელია. მან წლის წინათ დაობლებულმა პატარა ბიჭმა პირველად აიღო ხელში სასხლავი დანა, პირველი ღერწი ასჭრა და პირველი რქა ააკრა ჭეგოზე.

წელს სამოცდამეხუთედ ზვდება ამ ვენახებში სახელმძღვანელო მევენახე ვანო ეუვიშვილი გაზაფხულს. დიდი ხანია დაბერდა და მოკვდა ის პირველი ვენახი. მერე ვანომ სხვა გააშენა. კარგი ხელი ჰქონდა და ორმოცზე მეტ წელს ახეირა. ეს კი მესამეა — 23 წლის წინათ მოაშენა. გუგუნაურის კალთაზე შეფენილი ტყე ვანოს უფროსმა შვილმა, სამამულო ომში დაღუპულმა ტრაქტორისტმა ნიკამ „მოგლიჯა“ და სავენახედ გადააბრუნა. ეს ვაზები ვანომ და მისმა მეუღლემ მარომ ჩაყარეს. მაროც აქაურია — საბური (აი, ინწობას გაღმა, რომ სოფელი საბურე ჩანს, იქაურია). 40 წელია ქმრის მხარდამხარ მიყვება ვენახის რიგებს.

ვანო მერგოლურია: — 7 ჰექტარი ვენახი აბარია. მასთან ერთად 7 კაცი მუშაობს. ოღონდ ყველა უნდა ჩამოთვალეთ სათითაოდ, თორემ ისე არ ივარგებს ამბობს ვანო. მერე ნაკვეთებს გადაავლებს თვალს და ჩამოთვლის: ლუტიაშვილი როსტომი, ალიაშვილი ხოსოლა, ხეჩიაშვილი ლადო, ათუაშვილი აზრია, ეუვიშვილი ნოე (ეს ორნი ახლები არიან), შარმაზანაშვილი ვანო, ყრინტაშვილი ილიკო... აი ეს ნაკვეთი კი (მეჭტარი და 6 მესელია) თვითონ ვანოს აქვს გაპიროვნებული. სამი ათას

ხუთასამდე ძლოერი და ჯანმგარი ვაზი გამწკრივებულია 58 რიგად. ვანო მიჰყვება ვენახის „პლანებს“. ამ ვენახის ძირებივით დაკოჰრილი თითებივით ეხება მავთულზე მჭიდროდ აკრულ რქას და დრო რომ იყოს ხალისით გვიამბობს მათს სამი ათას ხუთას ბიოგრაფიას. თვითეული მათგანი საკუთარი ხელით დარგო და დაამყნო, ახარა და ახეირა, გაახარა და გაიხარა („ვაზს უხარია — მეც მიხარია, ვაზი ღონდება, მეცა ვღონდება“ — ამბობს ვანო).

ამ შვილივით მოვლილ ვენახს უმაღლის ვანო ოჯახის დოვლათსა და სიკეთეს.

— საკუთარი ნაკვეთი უკეთესი გეჩენება?

— რაო? — თითქოს საყვედურიც იყო ცოლქმრის ამ შეკითხვაში — აბა უკეთესი როგორ იქნება, იმდენი ძალა აღარ შეგვწევს რომ იმასაც გავწვდეთ! ეს საერთოა, საერთო საქმეს არ ელაღლებათ!

გორკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურია ვანო ეუვიშვილი ჰექტარზე 153 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის 1950 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვა მთავრობამ, მერე შრომის წითელი დროშის ორდენით, მერე კიდევ და კიდევ ახლაც კარგი მოსავალი მოჰყავს — შარშან 76 ცენტნერი მიიღო, წელს 95 ცენტნერი აქვს დაგეგმილი.

— გასულ წლებთან შედარებით ნაკლები რომ არის? — ვანოს ეღიმიება.

ვენახის კარგმა მოვლა-პატრონობამ უჩვეულოდ დიდი მოსავალი მოაყვანინა კოლმეურნეებს, მაგრამ დღეს სულ სხვა საკითხია დღის წესრიგში: — ყურძნის ხარისხის ამაღლება. ვიცი ბევრი არ ეთანხმება ამ ამბავს და ვაზის ზედმეტი დატვირთვა ყურძნის ხარისხის საზიანოდ არ მიაჩნია. ქართველ მევენახეთა და მეღვინეთა შორის დიდი კამათია გამართული. ორივე მოკამათე მხარეს ბევრი საბუთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

### დროშა

№ 6 (107) ივნისი, 1960 წ.

გამოცემის IX წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი ჟურნალი

გაზაფხული იყო ალაზნის კუნძუ

ოჯახი-ბრიგადა

მედიკალიზაცია პროექტი

ქმები მესამეობები

რეპუბლიკა-თავდასხმული

მსახიობის ღვა

ძილი და სიზმარი

ქართული ნიშნის ოსტატი

გურამ გომიანიანი-გიმი

რეპორაჟი ქვესნელიდან

მეყურადღებო გავს უკრავს მწერტინელს


პარიზის ქუჩები







ვანო ტყეშელაშვილი



გიორგი ხეთისიაშვილი

აქვთ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს კამათი აქ, ზვრებასა და ვენახებში გადაწყდება.

3

პირველი ვაზი გაიხსნა და ვარდისუბნელმა მექვევრემ გიორგი ხეთისიაშვილმა თიხის პირველი გუნდა გაჩარხა, პირველი ქვევრის ძირი გამოიყვანა. 18 ქვევრი წამოიწყო წელს გიორგიმ და ხართვლოდ თვრამეტ სამასდეკალიტრიან ქვევრს ჩააბარებს საკომლემურნეო და სახელმწიფო მარნებს.

— სართვლოდ?

— ჰო, სართვლოდ, მანამ ზომ არ მოესწრება? აბა, დაითვალე: ძირი სამი დღე უნდა გაზრდეს, მერე თითო მტკაველს კუმატებთ სამ დღეში ერთხელ, თიხას დავახორსოლავენთ და ერთ მოქანს შემოვავლებთ, ასე თანდათან ემატება ქვევრს სიმალლე და ორ თვეში ბეჭში გამოვა, კიდევ ორ თვეში ყელს

მოვუბამთ. თავს მოვადგამთ. ახლა ერთი თვე ზომ უნდა გაზრდეს, მერე ორი კვირაც გამოწვას უნდა — ესეც შენი ერთი თვე! გამარჯვებულად დაასკვნა გიორგიმ და ერთი წუთითაც არ შეუჩერებია ძლიერი თითებით თიხის სორსოლის მოქანა. მერე გონგით (ნახევარ მთვარისებური მოყვანილობის ხის იარაღია) დაუწყო შიგნიდან შეღვსვა.

— ესეც შენი ძირი! — ახლად გამზადებულ ძირს ძირხვევის ფოთლები გადააფინა კიდებზე და ახლა მოიცალა ამბის სათქმელად:

— ვარდისუბანში ახლა ბევრი მექვევრეა. ამ რამდენიმე წლის წინათ კი სულ ხუთიოდე კაცი თუ ჩალიჩობდა. რატომო? აბა თვითონ არ იცი? გაიძახდნენ, ქვევრი აღარ გვინდაო, ბუტი და კასრი სჯობიაო. ახლა კი იწამეს — ქვევრში ღვინო სულ სხვანაირად ინახება!

ვარდისუბნელი ოსტატის ქვევრები მთელ კახეთსაა მოფენილი. (გიორგი 55 წლისაა და 12 წლიდან ქვევრებს აკეთებს, მამისგან ისწავლა) მამამისი სანდრო ხეთისიაშვილიც ცნობილი მექვევრე იყო, ამ 30 წლის წინათ გარდაიცვალა. მამამ ვიღასგან ისწავლა? კალაურში იმერეთიდან გადმოსული სახელგანთქმული მექვევრე იყო — სარიდან ჩუბინიძე. ჭერ იმასთან შეგირდა და დაგა, მერე ოციოდე წელიწადი ერთად იმუშავეს. ახლა ის ძველი მექვევრეები სადღა არიან — ოსებ, შაქრო, ვასო ყარაულაშვილები და სოცენუნ, მაგრამ მათ საქმეს განაგრძობენ: ალექსი ყარაულაშვილი, აპოლონ ნაცარაშვილი, ვახტანგ ჯაფიაშვილი, ორჯონიძის სახელობის ვარდისუბნის კომლემურნეობაში მექვევრეთა რგოლია ჩამოყალიბებული. იქ, ახალგაზრდები ეგნატე და ივანე ყარაულაშვილები, სხვებიც მუშაობენ.

— მარტო როგორ ერევა ამდენ საქმეს? აბა როგორ მოერევა — თიხას, ქვიშას მოტანა უნდა. ახლა აწეღვა, ახლა სორსოლის დამზადება, საქმეში ყველანი ეშველებიან — ფოთოლი რა არის, ძირხვენას და კომპოსტოს ფოთოლსაც მოტანა უნდა — თვრამეტ ქვევრს განა ცოტა დასჭირდება? ახლა შეშა, ცეცხლის ყურის გდება... მთელი ოჯახია ჩაბმული: შვილი — გურამი, მეუღლე — ნინო, გიორგის დედა ნატო 80 წლისაა და არც ის აკლებს გარჯას.

რამდენი საუკუნის ისტორიას დაითვლის მექვევრეთა ხელობა! რამდენი თაობა გადასცემდა ერთმანეთს ამ ოსტატობას, რომ დღევანდლამდე მოეტანათ ქართული ქვევრის საიდუმლო, იმისათვის, რომ გიორგი ხეთისიაშვილს 1960 წლის გაზაფხულზე წამოეწყო ეს სამი ათას ლიტრიანი ქვევრები, რომლებშიაც ამ შემოდგომას მაჭარი აჩუხჩუხდება!

4

ყვარელში, ბურსას გადაღმა, ფატმასურის ვენახების თავში (აქ ყვარლის საბჭოთა მეურნეობაა), ფანტასტიკური რომანების კოსმიური ხომალდების მსგავსი გრძელი შენობაა. ეს ახალი ტიპის ბეტონის მარანია. მისი ტევადობა სამი ათას ხუთასი დეკალიტრია. იგი სწრაფად შენდება და იაფიცაა. მასალის მხრივაც იოლია — მხოლოდ აგური და ბეტონი ხმარდება. უფრო ზევით, წინკლდეების ძირში ქვის ნაწვავებია, სამთომანქანები, მუზარადიანი მუშახტები და კომპარტისორის გამოდმებული გუგუნი.



კიდევ ერთი აკვანი დამთავრა გიორგი კიქიკოშვილმა.

ეს თბილისელი გვირამბშენებლები აქ რამ მოიყვანა? ტყის პირას დიდი გვირამის შესასვლელია. კიდევ 500 მეტრის მანძილზე მეორე ასეთივე გვირამია. აქ, ძველი ჭიათურელი მადაროელი გამყვანთა ბრიგადირი პროკოფი თაბაგარი შეგვხვდა.

ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში პროკოფი შეიძლება ჭიათურის სახგრევებში გენახათ, მერე სოხუმსა და გავრაში გვირამები გამოყავდა, ახლა კი კახეთში ჩამოსულა და კახელ მეღვინეებისათვის მარანს აშენებს. გვირამის გამყვანთა მეორე ბრიგადირიც ჭიათურელი მემაღაროელია, ნოდარ კუბატაძე.

გვირამბშენის უბანი, რომელსაც ვაღერიან ბერიტაშვილი ხელმძღვანელობს. ეს ერთი ხანა შესდგომია მეგვირამეთათვის სრულიად ახალ საქმეს — მიწისქვეშა მარნის მშენებლობას. პირველ ხანებში ბიჭებს ეციებოდათ კიდევაც: სად გვირამი და სად მარანი!

ეს ორი გვირამი, რომლებიც 350 მეტრით შეიგრება მთის სიღრმეში, 500 მეტრის სიგრძის განივი გვირამებით შეერთდება. შვიდი კილომეტრი დასამასი მეტრი სიგრძე ექნება ამ უშველებელი მარნის გვირამებს. აქ მუდმივი ტემპერატურის პირობებში წლების განმავლობაში დამკვლავდება ორი მილიონი დეკალიტრი სამარკო ღვინო. მარანს ექნება თავისი შიდასაქარხნო ტრანსპორტი — ელექტროკარები, რომლებსაც ახლა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა აგებს. რამდენიმე ათას კასრსა და რვა 5.000 დეკალიტრის მოცულობის რკინა-ბეტონის ბუტიშ ბევრად მეტი ღვინო დამკვლავდება, ვიდრე დღეს საქართველოში არსებული ღვინის დამამკვლავლებელ ყველა მარანში. მეტად დამახასიათებელი ნიშანია: — ვიყენებთ უძველეს, საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ღვინის ჭურჭლის — ქვევრის შესანიშნავ თვისებებს და ვაგებთ უახლესი ტექნიკის შენაძენს — აი ასეთ გრანდიოზულ მარანებს.

5

გაზაფხულის პირველ გამოდარებასთან ერთად მრავალმა კომლემურნემ გათხარა საძირკველი და ფუძე ჩაუყარა ახალ სახლს. კახეთში სოფელი არ არის რომ რამდენიმე ათეული სახლი არ შენდებოდეს.

შილდელმა სიკო ყასაბაშვილმაც აპრილის დამლევისათვის სამზადისი დაამთავრა — ჩელითისხევიდან ქვა და ქვიშა მოიღია, აგურხანა ჩაღვა და აგური გამოწვა, იქვე საკომლემურნეო საკირედან კირი მოიტანა და გადაწეღვას შეუდგა. აპრილის ბოლოს მეზობლებმა და მოყვრებმა ფუძე დაულოცეს ახალ განაყოფ ოჯახს. ნაცვალგარდათ ზურაბ ჩიტაშვილი და ფირუზ ყასაბაშვილი ყავს სიკოს. მუშაობენ ხალისითა და მონდომებით. ამ დღეებში კალატოში შალიკო იმერლიშვილი დაიწყებს კედლების ამოყვანას და ერთ თვეში სახლი უნდა გადაიხუროს.

ამ დღისათვის სიკო ოთხი-ხუთი წელიწადია ემზადება. სოლიკო ყასაბაშვილის მევენახეობის ბრიგადაში მუშაობს. ფულს თავი მოუყარა, ზამთრობით კარ-ფანჯრის ჩარჩოებს კრავდა.



აქ აშენდება სიკო ყასაბაშვილის სახლი.



ორსართულიან სახლსა დაგამს — ზედა სართულში სამი ოთახი ექნება, ქვედაში — ორი ოთახი და ქართული მარანი. ფირფუა და ზურაბიც ასეთი სახლების დადგმას აპირებენ. ახლა შილდის ამ ახალ უბანში — უძიროში ათეულობით სახლი შენდება. დიდძალი შრომა და თანხა იხარჯება, და განა მართო შილდაში!

კარგია დაილოცა ამ სახლების ფუძე და საძირკველი! იმრავლოს ჭაღაბა და იმატოს ქონებაში მაგრამ... რატომღაც ვერაფერს მოიკლავს რომ ურჩიოს კოლმეურნეებს უკეთესად დაგეგმონ ოთახების განლაგება, დადგან ეკონომიური ღუმელი, სანიტარული კვანძი გაითვალისწინონ... იქნებ მიზანშეწონილი იყოს აიგოს სანიმუშო კეთილმოწყობილი სოფლის სახლი, რომელშიაც თვალნათლივ გამოჩნდება უველა მისი უპირატესობა?

6

ახალი სახლები იგება, ახალი ოჯახები იქმნება და მაწანწარელ მეაკვნეს ვიორგი ჭიკიაშვილს ვინ გამოუღევეს სამუშაოს? ვინ იცის რამდენი ბედნიერი აკვანი გამოუტანიათ, ბედნიერი ქალების დედებს (აკვანი ქალის დედამ უნდა შეიძინოს) ვიორგის სახლიდან და რამდენი ათასი ბავშვი გამოზრდილა ოსტატის ხელით შეკრულ აკვანში. მეაკვნეობა ძველი ხელობაა, მაგრამ დღეს თელავის ამ უბანში სულ ორი ოსტატიღა მუშაობს. ვიორგი და მისი მეზობელი ალექსი ბიძულიაშვილი მთელი კახეთისათვის ამზადებენ აკვნებს.

ვიორგი დღემუდამ ჩარხავს ახალი აკვნის კამარას, კოჭებს, აშლაშინებს საგოგავებს, ღუნავს რკალებს, გაზაფხულის ამ დღეებში ხშირად გაისმის ოსტატის ხალისიანი ხმა:

— ასი გაგეზარდოს ამ აკვანში!

7

შილდის ბოლოზე, კუთბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაა, ჩვენი მისვლისას თოფის სროლა გაისმა. ფერმის ყარაულმა — მიხეილ ხუციშვილმა კიდევ ერთი მიმინო ჩამოაგდო და მუხის ტოტზე ჩამოკიდა. ალბათ, სათვალავად და სიფხვილის მაჩვენებლად.



ეს იმ მარნის გვირაბია, რომელიც 20 მილიონ ლიტრ ღვინოს დატევს.

მეწიწილე ლუიზა როსტომაშვილი თავის მეგობრებთან რუსუდან იორდანაშვილსა და ნინო კახიძესთან ერთად 2.600 წიწილას ზრდის. ეს წიწილები ეს-ეს არის გამოიჩენენ და მეტად სათუთი მოვლა და დიდი ყურადღება სჭირდებათ. ლუიზამ ორი წელია რაც დაამთავრა საშუალო სკოლა და ახლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე შესასვლელად ემზადება...

ასეთი ფერმები ახლა მრავლად შეიქმნა კახეთის კოლმეურნეობებში და უველგან ასე მხიარული და ხალისიანი გოგონები მუშაობენ.

როდესაც კონდოლის, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თელავის რაიონში) ფერმის გამგეს ესმა ოქროცვარიძეს კითხეთ:

— თუ ერევანს საქმეს? — ამ ფერმის მეწიწილეები თამარ ცუცუნაშვილი და მცინარა ნაწიფაშვილი გაწითლდნენ, ესმას კი გაეღიმა:

— სწავლა ამით არ აკლიათ, ძალ-ღონე და სურვილი და მეტი რა გზა აქვთ. მოდი და ნუ მოერევინა!

8

ბევრი რამ გამეგო ვიორგი ლომიძის კომუნისტური შრომის ბრიგადის შესახებ. ამ ბრიგადას უვარლის რაიონის სოფელ ჭიკიანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში 45 ჰექტარი ვენახი აბარია — თანაც მოსავლელად მეტად ძნელი — საფერავი. ოთხი წლის განმავლობაში ბრიგადა საშუალოდ 140-160 ცენტნერ უურძენს იღებდა ჰექტარიდან, ამისთვის მიეკუთვნა ეს საპატიო წოდება.

ავარის ხეცა და ჭენჭობის შორის გადაჭიმულ შუა მაგრების ზვარში — მხოლოდ 6 ჰექტარია ძველი ვენახი, 12 ჰექტარი — 3 წლიანია, — 27 ჰექტარი — 2 წლიანი. ამგვარად, ბრიგადის მთელი შრომა მომავლისკენაა მისწრაფებული. კიდევ მეტი — ახლად ჩაყრილი 20 ჰექტარის საპატრონებლად ახალი ბრიგადა გამოყვეს.

1958 წელს ბრიგადამ 206 ცენტნერი უურძენი მიიღო ჰექტრიდან, მოუსავლიან 1959 წელს — მაინც 189 ცენტნერი. ეს „შრალი ციფრები“ დიდი და მაგრად შეკრული კოლექტივის დაძაბული მუშაობის შედეგია.

თვითონ ვიორგი ლომიძე, მერგოლურები აბესალომ ხუციშვილი, ქუჩო ცერცვაძე, გივი მიხეილიძე და სულ ახალგაზრდა, საშუალო სკოლიდან მოსული ბიჭები ისო ლომიძე, უშანგი კაპანაძე, ალექსი ქურდაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნებიან, რომლებმაც ეს საქმე — მევენახეობა, რომ იტყვიან გულის ფიცარზე დაიწერეს. და აკი ატყვია კიდევაც ამ სამაგალითოდ მოვლილ ზვარს მრავალი გამრჩე ადამიანის დაოსტატებული ხელი.

და აქ, ამ საგულდაგულოდ მოვლილ ზვარში როდესაც ვენახის მსხმოიარობაზე ვლაპარაკობდით და ვიორგი ლომიძემ შესანიშნავი მევენახე აბესალომ ხუციშვილი გამაცნო, რომელმაც თავის ნაკვეთზე შარშან ჰექტარზე 200 ცენტნერი უურძენი მოიყვანა, მე კიდევ ერთხელ გავიგონე გულისწყრომა ვაზის ზედმეტი დატვირთვის გამო.

აბესალომ ხუციშვილი, იმერული სიფიცხით, ღვიძლი საქმის სიყვარულით და სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი ჭეშმარიტი გულის ტივილით ლაპარაკობდა ვაზის აგროტექნიკაზე და კოლმეურნეობის ეკონომიკაზე, ქართული ღვინის ხარისხის ამაღლებაზე, რესპუბლიკის პრესტიჟზე და



2600 ასეთი წიწილა ჰყავს ლუიზა როსტომაშვილს მოსავლელად.



აბესალომ ხუციშვილი მთელ დღეს ვენახში ტრიალებს.


ძალაუნებურად გაფიქრებინებდა, რომ ეს ადამიანი თავის ვენახში მოფუსფუსე გამრჩე გლეხი კი არ არის, არც აი ამ ერთი კოლმეურნეობის კეთილდღეობით დაინტერესებული კოლმეურნე, არამედ ნამდვილად სახელმწიფო მოღვაწე.

ალბათ, სწორედ ამიტომ გახდა იგი კომუნისტური შრომის ბრიგადის მერგოლური და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გაზაფხუდი იყო  
 ადამიანის კუდზე



# იქანი-ბრიშაღ



რაქუნ ჩაჩუა  
ფოტო გიორგი ძაცარიასი

ოჯახის მამა უსუფ ნაკაშიძე.

შვიდი ვაჟაკისა და ერთი ქალის მამაა უსუფ ნაკაშიძე. შვიდი ვაჟი ყავს, ყველა ერთი-მეორის უკეთესი, თვითონ უსუფი საშუალო ტანისაა: არწივის თვალები, შავი უღვაშები, ვაჟაკური მიხვრა-მოხვრა, შრომისაგან დაკოვრილი ნიჩბივით ხელები, მეხივით ხმა, ალალ-მართალი მშრომელი... სამოცისა და მხრები მაინც გაშლილი აქვს...

1933 წელს დასტოვეს მაღალმთიანი რაიონი, მშობლიური სოფელი ორცვა და ბათუმს ეწვივნენ ზექიე და უსუფი: ადგილები დაათვალიერეს და ურების ეს მაღალი გორაკი მოეწონათ...

... უწინ ურების ამ გორების აქეთა ნაწილი რიზა-ბეგს ეჭირა, იქითა —

როლანდი



ჭეფერი.



თამაზი



დედა ზექიე



ფეზლი-ბეგს. იჯარით იძლეოდნენ ნაკეთებს, უნებართვოდ წნელს არ აჭრე-ვინებდნენ გლეხებს. პარპაშობდნენ. მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და ხალხმა შვებით ამოისუნთქა...

... ათოვლათ აჭარის ქედებს, ითრთვილებოდნენ და ჰალარავებოდნენ მწვერვალები, მაგრამ გაზაფხული აღლობდა ყინვას, აზურმუხტებდა მიღამოს.

გაზაფხულმა ცოლ-ქმარსაც გაუფანტა ძველი დარდი და გული გაუზაფხულა: არაფრად ჩაადგეს, ეკალ-ბარდებით რომ იყო დაფარული აქაურობა, პატარა ქობი დაიდგეს და კერა გააჩაღეს.

კოლმეურნეებს გვერდით ამოუდგნენ ზექიე და უსუფი. ჩებდნენ ტყეებს, აშრობდნენ ჰაობებს, ჩაის ხავერდებითა და ციტრუსების ხეივანებით ამშვენებდნენ მთის ფერდებსა და გორებს, მინდვრებსა და კორდებს.

მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა! უსუფმა და ზექიემ ქვის შენობა წამოჭიმეს ამ მთის წვერზე.

საღამოობით შრომით დაღლილი უსუფი აივანზე ჩამოჯდება და გასცქერის გაღმა-გამოღმა ხევებს, მთის ფერდებსა და გორაკებს: რა ჩქარა გაშენდა მთელი სოფელი. ორსართულიან ქვის ლამაზ სახლებში შევიდნენ მეზობლები; მეზობლები კი არა და სულ მოყვრები და ნათესავები არიან...

... ჯალბი გაუმრავლდა უსუფს და ზერს აფართოებს: ქვისავე ოთახებს აშენებს გვერდზე, უკან კი ძველსა და ახალ ნაშენს გრძელ დერეფანს უკეთებს — ქორწილები აქვს გასამართავი და გამოადგება.

შვიდი ვაჟაკის მამაა უსუფი: უფროსი — ჯეფერი კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელია. საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

უსუფს არ უნდა, ჯეფერი სხვას ჩამორჩეს. ან რატომ უნდა ჩამორჩეს? — ჩანი აქვს და ღონე, საქმე უყვარს და შრომა.

ახალგაზრდა და ეშინია უსუფს, გული არ გაუტყუდეს რამეზე; ამიტომ ამხნევეს შვილს და, რაც შეუძლია, ეხმარება.

საღამოს გამოკითხავს ჯეფერს, რა გააკეთა დღეს მისმა ბრიგადამ, როგორ მიდის გეგმის შესრულების საქმე. მერე თავმჯდომარეს შეხვდება და იმას პკითხავს თავისი შვილის ბრიგადაზე ყველაფერს.

მამაა უსუფი და გული არ უთმენს — უნდა დაეხმაროს შვილს, უფრო წინ უნდა წასწიოს მისი ბრიგადა.

— შვილებს რავა გავარჩევ ერთმანეთისაგან, მაგრამ... — აქ ჩერდება უსუფი და ჯეფერის ქალ-ვაყს მუხლებზე ისვამს — რა ახალგაზრდა ვიყავი, კაცო, ამ ორი-სამიოდე წლის წინ, — იღიმება, — „დამაბერა“ ჯეფერმა, მაგი უნდა მიყვარდეს?



პატარა ლილის არ ესმის ბაბუას ოხუნჯობა და ფუნთუშა ხელებს აფათურებს ბაბუას უბეში. იქ სითბოს პოულობს. კოლმეურნეობის ციტრუსებში რომ მუშაობს უსუფი, თმახუტუტა შვილიშვილი კუდში დასდევს და ეტიკტიკება, რატომ ჩვენს ეზოში არ მუშაობ? ბებიაც იქაა, გულიყო მამიდაც და ყველაო.

ბაბუას უყვარს ლილის ტიკტიკი და ისიც ემასლაათება. მალე უმცროსი ძამიკოც წამოეშველება ლილის ტიტინში.

ილიასი და ავთანდილიც დაოჯახდნენ. ილიასი ჩვეულების ბრიგადაში მუშაობს, 3.800 კვადრატული მეტრი. ჩაის პლანტაცია აბარია და ყოველწლიურად სარეკორდო მოსავალს იღებს, ახალგაზრდობის საღამოს ათწლეულში სწავლობს.

— კმაყოფილი ვართ, — ამბობს ჩვეფერი, — ჩემს ბრიგადას ერთი კარგი წევრი შეემატა — ცნობილი მწველავის — ლუბა კოპინინკოს ქალიშვილი.

— ავთანდილმაც კარგი რძალი შეგვიჩინა! — საუბარში ერევა ზეჟიე და დედობრივი სიყვარულით გასცქერის თავის ვაჟკაცს.

მართლაც სიხარული შემოიტანა ვარდო ბოლქვაძემ ნაკაშიძეების ოჯახში. ვარდო აქვე ცხოვრობს. კარგად იცნობენ: სწავლობდა და მოსკოვში გაგზავნეს, საკავშირო გამოფენაზე, როგორც საუკეთესო მეჩაიე. საშუალო სკოლა დაამთავრა, და... ახლა კარგი მეოჯახეა და ჩაის კრეფაშიაც ვერავინ სჯობნის.

ავთანდილის მაგივრად ვარდო ეხმარება ჩვეფერს ბრიგადის სამუშაოების შესრულებაში. ავთანდილი და როლანდი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები არიან და ნაკლები თავისუფალი დრო რჩებათ ძმის დასახმარებლად. თამაზსაც ცოტა დრო აქვს, — ისიც სწავლობს სავაჭრო ტექნიკუმში. თემურიც სკოლაში დადის, ხოლო დავითი საბჭოთა არმიის რიგებშია.

— არ ვემდური ამათ, — საქმიანი კილოთი ლაბარაკობს ჩვეფერი. — ილიასი, დედა, მამა და რძლები ხომ მეხმარებიან და მეხმარებიან; არც ავთანდილის, როლანდის, თამაზისა და თემურის ხელშეწყობა მაკლია. მალე დავითიც ჩამოვა და...

— მოკლედ, თვითონ შენი ოჯახია მთელი ბრიგადა, არა, ჩვეფერ? — ეკითხები ღიმილით.

— ასე ვთქვათ. კიდეც ეგრე გვიწოდებენ: ოჯახი-ბრიგადაო...

... დიდი ჯალაბი ყავს უსუფ ნაკაშიძეს და დიდი შემოსავალიც აქვს: მართო კოლმეურნეობიდან 30-32 ათასი მანეთი შემოდის. ეზო კი ნარინჯებითა და თურინჯებით, — ათასგვარი ხეხილით აუყვავებია.

სახლის აივანზე გადმოდგება უსუფი. აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი ურები — მშვენიერი ხეობებე, ერთი და ორსართულიანი მწვანეში ჩაფლული სახლები: თხმელები, თხმელებზე ქართული ვაზი — მალღარი;

აკაციები, კაკლის ხეები, ალუბლები, ხურმები, ჩაის ხალიჩებითა და ციტრუსების ბაღანარებით მოფენილი გორაკები, კორდები, მთის ფერდები. შორს ბათუმი და ლურჯი, უნაპირო სივრცეა — შავი ზღვა...

— ეს ციტრუსები და ჩაი კაი შემოიტანეს ჩვენში. ჩვენს სამედიცინო მთავარი წყარო ეგ არი. ამ შედღწეულში ჩაის პლანტაციას 60 ჰექტარამდე გავზრდით, 50 ჰექტარზე მეტს ციტრუსს გავაშენებთ. 1965 წლისათვის კოლმეურნეობის შემოსავალი 4,5 მილიონს მიაღწევს და შრომადღეზე თუ დღეს 20-21 მანეთს ვანაწილებთ, მაშინ 40 მანეთს არაფერი დაგვიკლდება, ჰაი, დედასა, 60-65 ათასი მანეთი შემომივა კოლმეურნეობიდან!


უსუფი წამით ჩერდება. თითქოს ტრიბუნაზეაო, ხალხს თვალს ავლებს და ისეც ოფიციალური ტონით განაგრძობს:

— ავაგებთ კლუბ-კანტორის, სკოლის, მაღაზიის, საავადმყოფოს, საბავშვო ბაგის ახალ შენობებს, დავამშენებთ გზებს...

— ბედნიერი ხარ, უსუფ, ყოველმხრივ ბედნიერი!

— აბა რა! მზიარული და მშრომელი ოჯახი მაქვს. შვიდი ვაჟკაცი მყავს, „შვიდი გურჯანელი“. რომ შეიძლებაოდეს, ჩვენი კოლმეურნეობის შედღწეულ ცალ-ცალკე დავუნაწილებდი თვითეულ მათგანს!

ავთანდილი.



**ბენიკ ხარნაული**

**ხმამალა სათქმელი ლექსი**

ადამიანებო, მე ვიტყვი ერთ სიტყვას და თქვენი თვალები ცრემლით აივსება. თქვენ მოგაგონდებათ თქვენი ახალგაზრდობა მოგონება გამოიწვევს სევდას... მაშ ისმინეთ, ეს სიტყვაა სიყვარული, ეს სიმღერაც სიყვარულზეა, იგი დიდხანს იმღერებოდა მზეში, ამიტომ სახე დამწვარი აქვს და მაინც არის რაღაც მიმზიდველი მის სილამაზეში. — აი, ახლა, მე ვმღერი გაზაფხულის სურნელებზე, ეს კი ნიშნავს, რომ ვაგდივარ მიწაზე და ისე ვნებიანად ვკოცნი მას, თითქოს იგი სიყვარული იყოს ჩემი და დიდხანს, დიდხანს ასე ვრჩები, ასეთია ბუნება პოეტის. მე არ ვარ ლამაზი და მაინც მიყვარს, მიყვარს აქედან ცამდე, და რომ დამცალდეს პირს ვუზამ ჩემი მთებისკენ აი იმ ქალს, და შეაქებენ მთიელები ჩემს ნადავლს. მე ტუჩებს მივიტან მის ყურთან და ვმტყვი. — ახლა ჩემთან ხარ, როგორ ვეწამე, რომ ავსილიყავ ამ სიახლოვით, ქარები ქრიან, კარებს ღეწავენ გარეთ კი, გარეთ საქმე სახმლოი მეძახის, მიხმობს...

ათასი წელი ველოდი ამ წუთს და პა, მელირსა, მე მთის ყვავილების მძაფრ სურნელს ვამჯობინე შენი თმებისა, მე საჯეს ვარ სიხარულით, როგორც დღე, ავსებული გაზაფხულის წვიმებით, მე ხმამალა ვიცი და მზეზე ელავენ ჩემი თეორი კბილები. იცინე... იცინე, ჯანმრთელო მამაკაცო, მე ამ შეძახილით დავამთავრებ ლექსს!

**ფრიდონ ხალვაში**

**ფიქრი ჭოროხთან**

მოდის მდინარე სქელი, მძღარი და სევდიანი, როგორც პოემა, სანაპიროზე არის საზღვარი, მაგრამ იგრძნობა უსაზღვროება. რაოდენ შორი და უღმობელი ჟამთა ღრუბელი გაგიაჟია და არი ასე ბევრის მთხრობელი, ჭოროხო, შენი ბიოგრაფია. ვინაც მიყვარდა ისეც იმავ სიყვარულისთვის მე აქ მიცილია, დაუფიწყარო, მე ეს მდინარე შენთვის ხელივით გამომიწვდია.

**თავაზ უათიერიშვილი**

**მ ხ მ ლ მ დ**

გაედევნება აპრილს მაისი უკვე შეფოთილ ხეთა გუგუნში, ყველა წინ წავა, დროც არ დაიცდის და გამაქანებს ცხოვრების გულში. მოხდება ყველას ცხოვრების ცელი, მეც დამადონებს ადრე თუ გვიან, წავა აპრილი... მაისი... წელიც და ყველა, რასაც სიცოცხლე ჰქვია. სხვა ხალხი ჩვენი დაიწყებს კვენანს, აგვამალდებენ, აგვწევენ თვითონ, მაშინ სხვა შოთა გაჩნდება ქვეყნად, მაშინ სხვა ვაჟა ჩამოვა მთიდან. თბილისი მაშინ სულ სხვა იქნება, სულ სხვა იქნება ქვეყნად აპრილი, შეიცვლის სახეს დღეს რაც იგება, გადაინაცვლებს ქვეყნის ნაპირიც. სულ სხვა იქნება ატმის ფურცლები, სულ სხვა იქნება ირემის ყელი, მხოლოდ დარჩება გრძნობა უცვლელად, რასაც სიყვარულს ეძახის ყველა.







# საქართველო

შალვა და ერასტი ძმები არიან. ორივეს ერთ-ნაირი ცხოვრების გზა გაუვლია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ორივეს უბრძოლია, შალვა ასოთამწყობია, ერასტი კი მბეჭდავი. ახლა ორივე დირექტორია. ორი ძმა, ორი დირექტორი — შალვა და ერასტი წიგნივაძეები.

მათი მამა ლეონტი რევოლუციონერი იყო. სახლში პატარა სტამბა ჰქონდათ... პროულამაიციებს ბეჭედადნენ.

ლეონტი იძულებული იყო საქართველოდან გაქცეულიყო. ის ოხრანკამ პავლოვრადში მოკლა. ბავშვები დაობლდნენ. დედა კერავდა და ბავშვებს გაჭირვებით აპურებდა. რამდენჯერ გაუჩხრეკიათ მათი სახლი, მაგრამ ოლღას სტამბა გადაურჩენია.

თითხმეტი წლისაც არ იყო შალვა, როცა მუშაობა დაიწყო ქუთაისის ერთ-ერთ კერძო სტამბაში. ერასტის კი თორმეტი წელიც არ ჰქონდა შესრულებული. მეზობელმა წაიყვანა ისინი სამუშაოდ. მათი მეზობელი დავით ლობჯინაძე



თენგიზ წიგნივაძე, ნელი მახარაძე (თენგიზის მეუღლე) — მუშაობს ოფსეტის საამქროში ქიმიკოსად, ლევან და ვალერი წიგნივაძეები.

სტამბის მუშა იყო, — კეთილი კაცი. ბიჭები ჯერ მოჰამაგირედ მუშაობდნენ, შემდეგ შეგირდად, შემდეგ... პირველ საბჭოთა სტამბაში დაიწყეს მუშაობა. შემდეგ კომკავშირში შევიდნენ, მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. დედამ გაიხარა. შემდეგ ერასტი თბილისში გამოაგზავნეს, მუშათა ფაქულტეტზე სასწავლად. დაიწყო ახალი, სტუდენტური ცხოვრება, მაგრამ მუშაობისათვის თავი არ დაუნებებია, სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელგამის მე-2 სტამბაში, მე-5 სტამბაში, „ზარია ვოსტოკაში“. არც შალვას მოუთმინა გულმა, ვერ გაძლო ქუთაისში და მამასთან წამოვიდა. შალვამ „კომუნისტის“ სტამბაში დაიწყო მუშაობა ჯერ ასოთამწყობად, შემდეგ საამქროს ოსტატად. 1931 წელს დააწინაურეს ამავე სტამბის დირექტორად და აჯერ ორმოცდახუთი წელია სიყვარულით. მონდომებით ემსახურება ბეჭდვის-საქმეს. სხვა სამუშაოზეც იყო:

ვარციხეში გააგზავნეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, იქაც კარგად მუშაობდა, მაგრამ მამის იგრძნო სწორედ, თუ როგორ უყვარდა სტამბა, მამის დარწმუნდა, რომ ის საქმე, რასაც ბავშვობიდან შეთვისებინა და შეგყვარებია, ძნელია დათმო. ადგა და კვლავ სტამბაში დაბრუნდა.

ახლა შალვა საქ. კ. ც. კ-ის გამომცემლობის სტამბის დირექტორია, სადაც ოცდახუთ წელზე მეტია ენერგიულად და გატაცებით მუშაობს. იგი ხელმძღვანელობს სტამბას, სადაც იბეჭდება ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ჟურნალ-გაზეთები.

ერასტი კი პირველი ქართველი ინჟინერ-პოლიგრაფისტია, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს საგამომცემლო დაწესებულებებს ბევრი რამ გაუკეთებიათ. ახლა იგი ლითოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის დირექტორია. ერასტის კუსტარული ლითოგრაფიული მანქანებით აღჭურვილი ლითოგრაფია ჩააბარეს, მაგრამ სულ მალე, საქართველოს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობით მოხდა წარმოების რეკონსტრუქცია. ფაბრიკა აღიჭურვა მოწინავე პოლიგრაფიული მანქანებით, შეირჩა კვალიფიციური კადრები. დღეს ეს საწარმოო ერთეული მოწინავეა რესპუბლიკაში. პირველად საქართველოს ისტორიაში აქ დაიბეჭდა ფერადი „დედა ენა“, რომელმაც საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების „დედა ენებს“ შორის პირველი ადგილი დაიკავა. საწარმოო ყოველდღიურად უშვებს ორ მილიონამდე ეტიკეტს, ბეჭდავს პლაკატებს, საბავშვო ჟურნალ „ილოს“, ილუსტრირებულ საბავშვო წიგნებს და სხვა. შარშან ფაბრიკის კოლექტივმა კარგი მუშაობის შედეგად, საბელმწიფოს 2 მილიონზე მეტი მოგება მისცა.

ახალგაზრდული ენერგიით ემსახურებიან ძმები ბეჭდვის საქმეს და ის სიყვარული, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ ჩაისახა ღარიბი მუშის ოჯახში, დღეს ზეიმობს — სტამბაში მუშაობს შალვას ორი შვილი ლევანი და ვალერი, — ლევანი რეტუშორია, ვალერი ორ პროფესიასაა დაუფლებული, რეტუშორობას და ფერადი ბეჭდვის საქმეს. ერასტის შვილი თენგიზი რეტუშორია, მისი მეუღლე ნელი მახარაძე მეუღლესთან, თენგიზთან ერთად მუშაობს ქიმიკოსად. მათი დის თამარ წიგნივაძის შვილები: თენგიზ, კარლო და ნოდარ ბილახოძეები, აგრეთვე, ბეჭდვის საქმეს ემსახურებიან ისე, როგორც მათი ბიძები, თენგიზი კარგი რეტუშორია, კარლო სოხუმის სტამბის სამანქანო საამქროს უფროსია, ნოდარი ქუთაისის სტამბაში მუშაობს მბეჭდავად.

## ნოდარ თამარაშვილი,



## ნელი გაბრიჩიძე

\*\*\*

რაღაც მაღალს და მცენარისეულს შევნიშნავ შენში და დავლონდებარე, როგორც ნელი

შენ... დაილაღე და ისე დგახარ, თითქოს სავე ხარ ნელი ფოთლებით.

თითქოს სიცხეა და ვერ შრიალებ, თითქოს ანთხარ და ჩამიქრები,

რაღაც მაღალს და ხეთა საფიქრალს წვდებიან შენი დიდი ფიქრები.

გარბევს ნათელი მომწვანო შუქთა, ხარ მაღლად მყოფი და ნებიერი,

არა, ასეთი არ არის თუთა, და არც ბზებია ასე ძლიერი.

შენ... დაილაღე და მაინც დგახარ, თითქოს სავე ხარ ნელი ფოთლებით.

რაღაც იღუმალს, მცენარისეულს, შევნიშნავ შენში და შევეფოთლები.

## აკაკი გელოვანი

\*\*

მე არაფერი არ შემეძლო მომეცა შენთვის, შენ მისრულებდი მუდამ თვითონ წვირილმაც, სურვილმაც,

მე არაფერი არ შემეძლო მომეცა შენთვის, გარდა ამ ჩემი უანგარო სიყვარულისა.

როგორ ამავსე, გამამდიდრე, ვერ იტყვის კაცი, მხოლოდ ეს ერთი, ჩემი გრძნობა, რვაღზე მტკიცება და რომ დაფიქრდი, აღმოჩნდა, რომ ეს ერთი განძიც,

ეს უანგარო სიყვარულიც შენ მოგიცია!

## ნოდარ შამანაძე

### აკაკი თხერის ბაღში

ცოცხლად ჩანს ისე, ცივ ქვაში თითქოს მჩქეფარე სისხლი მომძლავრებულა, ახლოს მივიღე ხანდახან ვფიქრობ, თავი დავუკრა მოკრძალებულად.

ჩვენს უგვირგვინო სხივისან მეფეს თავზე გვირგვინად სურო ეხვევა, როცა მის მხრებზე ბუღბუღნი ყუფენ, სურო გრძნობს მგონის თავის შერხევას.

თითქოს და მისი გულიც ფრთიანობს, ქალაქს უღიმის ტკბილმოუბარი, მისი ლექსივით მინანქრიანობს ყველა ქუჩა და ყველა უბანი.

დგას უკვდავების სხივადრქვეული, წარბები უგავს გაფრენილ მერცხალს, იმიტომ არის თავაწეული, რომ მაღალია ქართული ზეცა.







უკეთელ ფლატებს უტლაშუნებს მდინარე მდორე, მოდის, მოტბორვით მოედინების. ვალმა მხარეზე, ტრამალებში, შორეთს და შორეთს დამწუხრებულან თივის ზვიენები.

რუსეთო ჩემო! სძალო ჩემო! ფარულ ტკივილად ჩვენ შეგვიგარძნია გზა შორეთული. გულს გაგიგმირავს ეს გზა თათრულ ისრის წივილით, როგორც ისარი — გულსა ხეული.

გზა ტრამალების, უსასრულო სევდით მზირალი, რუსეთო ჩემო, შენი ხვედრია! ჩამოდგეს ღამე — უცხოური და გამწირველი წყვდიადის მზერით რომ შეგხვედრია!

იყოს წყვდიადი გავიჭრებით, გავაჩირადლებთ ტიალ ტრამალებს კაცონთა ალით. იელვებს ჩვენი წმიდა დროშა მიწის პირამდე, იელვებს დროშა და სანის სმალი.

და ბრძოლა მარად! ბრძოლა შმაგი და სისხლიანი, სიმშვიდე ჩვენთვის იქცა ზმანებად. ტრამალ და ტრამალ ურა კვიცი მიმჭრის ფრთიანი, ტრამალ და ტრამალ მიეკანება.

მიმჭრის, მიაფრენს თვალშეუდგამ სივრცეთ არეებს ამა სივრცეთა ბედის ზიარი.

გულში ჩაუდგათ ღრუბლებს შიში, შემოგარეებს, დასისხლულია დასალიერი.

გულსაც სისხლი სდის! არც სიმშვიდე, არც მოსვენება!

ზეცამაც აღარ გადაიკარა! ტრამალ და ტრამალ გამოჭრილან ურა ცხენები და მიფრინავენ ველზე გრიგალად.

ჩვენი გზებიც ბედმა ტრამალს მიანება — შინ შვიდობით ვერ დავბრუნდეთ თუნდა. ახლაც ისმის იმ გედების ხმაინობა, მდინარეს რომ დაბყიოდენ გუნდად.

ვამ, რომ დარი არ გვიანთებს დარბული — თათრის სპანი ჩაწოლილან ვალმა. ვამ, თუ დროშა სვესვიანად ხმარებული ჩვენს ლაშქარზე აფრიალდეს აღარ!

და ჩამესმის მეგობრის ხმა ჩურჩულითა: — აღსდექ, ძმაო, გაამახვე ზმალი!



— ხვალ ურდონი უნდა ვკაფოთ ურჭულითა, — ჩვენი წმიდა მოვიხადოთ ვალი!

დიდხანს, დიდხანს — არ გვედირსოს მოსვენება, მამულს სისხლის გაედევნოს კალო. მოკლულ მებრძოლთ მოლოცვად და მოხსენებად შეგავედრებ, მშვენიერო სძალო!


როს მამაი ურდოებით ჩამალა ტრამალებს და ხრამებს, იყო ჩვენი ღვთაებრივი პაემანის კურთხეული ღამე.

# კალიკოპოს ველზე

## ალექსანდრ ბლოკი

ღონი შავად, შემწარავად მოელავადა, გარს წყვდიადი იდგა. ხოლო გული — გული შენს ხმას მოელოდა და უსმენდა დიდხანს.

მთავრის სპანი აიშალენ გამალებით შესამუსხრად მტერთა. და შორით-შორს, ველებით და ტრამალებით მოგვძახოდა დედა.



და შორით-შორს ცისცილური იელვებდა დაბურული შავად — რუსეთის ცა გამარჯვებულს მიელოდა, იფარავდა მთავარს.

თათრის ბანაკს ამაზრუნად ერხეოდა არწივების ზარი. და მდინარეს მანდილივით ეხვეოდა თეთრი ნისლის ჭარი.

და ზეგარდმო მდინარისა მშვენიერის — არ ზათქით და ღელვით — გარდამოხველ ნისლით გამო შენშიერი სამოსელის ელვით.

მოყმის ხმაღზე დაცემულ სხვის მიმგვანე იმა სხვის დარი და აბჯარი დამტვერილი მიელვარე მაცოცხლებელ ცვარით.

და როს დილით სპანი ტრამალს გაეფინენ ზრიალით და ზათქით, მე ვიხილე: ფარზე შენი ღვთაებრივი აღმბეჭდოდა ხატი.

და ახლაც ის სევდა მწარავი ტრამალ ტრამალებს ზარავს. სხვა მიხმობს შორი მხრით არავინ, მხოლოდ შენ მომძახი მარად...

გავარდა, გადიჭრა უკუნეთს იმ ურა კვიციების რემა. სხვა მოყმით გულს სხვაგვარ უხურებს მთვარისა მიმცხრალის თვლემა.

და ახლაც იმ სევდით მზირალი დაგებებ, დავთელავ არეთ, ვითარცა ნადირი მყვირალი შესჩივის მილეულ მთვარეს.

ჩამესმის ბრძოლების ხმაური, თათართა ნალარის ყეფა, და მერმე დიდ რუსეთს დაუვლის უვრცესი ხანძრების წყება.

და სევდით არსება მოცული ტრამალებს მივეყვები ჩუმად... ღრუბლები შორი მხრით მოსული მაღლიდან მიმზერენ მრუმედ.

შემუსვრილ გულშიაც გამიარს, მაღლდება ნათელი აზრი და ჩაიფერფლება წამიერ შავფერად გიზგიზა ხანძრით.

— სადა ხარ, მეჩვენე, იაღლე! — ნათლისა შემძინე ძალი! ფაფარი ისევე ფრიალებს... კვეთებად გვეძახის სმალი...

და გარდუვალი წერით წყვდიადმა ჩვენგნით მყობადის დაპბურა დღენი.

ვლ. სოლოვიოვი.


და ისევ მოდგა ის ღამე დარდად ტიალ ტრამალთა წყვდიადით მფენი, და დაქუფრული ღრუბლების ფარდამ ჩვენგნით მყობადის დაპბურა დღენი.

ირგვლივ დუმილი მკვიდრობს სამარის, ირგვლივ ნათელი არსით იაღლებს. აღარ მომესმის ფიქრთა აპარას იმ დიდებული ბრძოლის ზრიალი.

მაგრამ მიცვნია დამდეგი აწვე დღეთა მაღალთა და შფოთიანთა! მტრის ურდოების ლეწვად რომ გვაწვევს — გვადების ზარი კვლავ ახმანდა.

აბორგდა გული. ხედავ — ღრუბლებიც საავდროდ დგანან გუნდად და გუნდად. იწყება ბრძოლა, ხმა გეუბნება, და მოვალს ჟამი. — ილოცო უნდა!

თარგმნა რამზა თხარაძემ.








ეროვნული  
ბიბლიოთეკა








ჯ. მ. მ. მ. — რუსთავი



მერაბ ბერძენიშვილი  
დავით გურამიშვილის ძეგლის ესკიზი



ნ. იანაშვილი — მამის პორტრეტი



მ. ამაშუკელი — მედალიონი





ეროვნული  
ბიბლიოთეკა





# მკაბჯაქაჯის სიძველენი

სიმონ სსიგლაძე

სოფელი მთისკალთა, რომლის ულამაზესი ხედვით „დროშის“ ამავე ნომერს ამშვენებს, მთიანი რაჭის ზონას მიეკუთვნება და თავისი მდებარეობის წყალობით, მეტად მაღალი მწვერვალებიდან გადმოსცქერის თითქმის მთელ რაჭა-ლეჩხუმს, რიონის ხეობას.

მთელ დასავლეთ საქართველოში სახელგანთქმული იყო ეს სოფელი რაჭის მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლით, მრავალძალის წმ. გიორგის ტაძრით და შიგ დაცული უნიკალური ფასეულობით.

მრავალძალში (ახლა მთისკალთაში) რომ შორეულ წარსულში მონასტერი ყოფილა, გარდა ზეპირგადმოცემისა და ანგარიშგასაწვევი ტოპონიმური გამოთქმებისა, ჩვენამდე შემონახული სიგელ-გუჯრებითაც დასტურდება.

ამ თვალსაზრისით, ყურადღების ღირსია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე დღემდე შემონახული უძველესი წარწერაც, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ბერებისავე ხელით აგებული ტაძრისადმი გაწეულ ღვაწლსა და ამაგზე.

რაც შეეხება ეკლესიის აშენების თარიღს, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, იგი X-XI საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

ჩვენამდე შემონახულ საკურთხეველში ახლაც თვალნათლივ შეინიშნება უძველესი მხატვრობის კვალი.

მრავალძალის ეკლესიის შენობის ერთ ნაწილს ჩვენამდე თავდაპირველი სახით როდი მოუღწევია. დეკ. მიხეილ სხირტლაძემ 1894 წელს ძველ შენობას დასავლეთის მხრიდან გადააბა ახალი ნაგებობა, ხოლო სავსებით ხელშეუხებელი დასტოვა აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარე, საკუთრივ საკურთხეველით, რაც ამ ტაძარს თვალსაჩინო ისტორიულ ღირებულებას უნარჩუნებს.

საფიქრებელია, რომ მრავალძალის წმ. გიორგის ირგვლივ გამართული ღზინი და ღამისთევა ერთ-ერთი შორეული გამოძახილიც იყოს იმ უძველესი, წარმართობისდროინდელი რიტუალისა, რომლის შესახებაც აქად. ივ. ჭავჭავაძე წერს: „დასავლეთ საქართველოში მთვარის თაყვანისცემისა და მსახურების კვალი წმ. გიორგის ხატობაში არის შემონახული... რაც მხოლოდ ღამით შეიძლება“.

ყველაზე ადრინდელი ცნობა მრავალძალის ეკლესიისა და იქ დაცული ნივთების შესახებ, ჩვენმა გამოჩენილმა გეოგრაფმა ვახუშტიმ მოგვარწოდა თავის უკვდავ შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც ვკითხულობთ: „იმავე ბარის წყალს ზეით არის მთაში მრავალძალს ეკლესია წმიდის გიორგისა და ჭვარი დიდი ოქროსი, სასწაულთმოქმედი. ამას შესწირა შაჰბაზ I ხრამალი ოქროთ მოკვილი, აწცა ძეს მუნ არა თუ სარწმუნოებით, არამედ სცნან რამეთუ ხრამალი მისი ჰკიდავს მუნ“.

ისტორიკოს პლ. იოსელიანს მიაჩნია, რომ აღნიშნული ხმალი შაჰმა მრავალძალის ტაძარს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით შესწირა.

ჩვენს ხელთ არსებული ერთი აღწერილობის აქტიოკი, რომელიც 1879 წლითაა დათარიღებული, იქ სადაც ჩამოთვლილია ეკლესიის იშვიათობანი (редкости), შაჰისეულ ხმალით დაკავშირებით ვკითხულობთ: «Сабли эти пожертвованы,

как говорит предание о поражении персидским шахом Шах-Абазом вследствие чуда, виденного им во время сражения».

ეკლესიის ნივთებიდან ასევე უძველესია ლეგენდარული ხარისა და ძროხის რქები (ცალ-ცალი), რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობაზე გადადიოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ უანწებით დაღვეის უფლება მხოლოდ ჯანდონით აღსავსე ვაჟაკებს ჰქონია და ისიც ქორწილებსა და დღეობებში.

მაგრამ მრავალძალის ეკლესიისათვის შეწირული ნივთებიდან ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე უფრო საინტერესოა ხვარაზმის სულთანის ჯალალედინის მუშარადი და სხვა საომარი ნივთები (დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფ. განყოფილებაში).

ამ ნივთების შესახებ, პირველი სარწმუნო ცნობა ისტორიკოსმა თედორე ყორღანიამ გამოაქვეყნა თავისი „ქრონიკების“ მეორე წიგნში (გვ. 210-211), „ამირეჯბთა გვაროვნობითი სიგელის“ სახელწოდებით (ამ ცნობაზე მიგვითითა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ).

აღნიშნული სიგელიდან ირკვევა, რომ თავგასული ჯალალედინი იმერეთის საზღვარზე სასტიკად დაუმარცხებია (რაც არაა მოხსენებული „ქართლის ცხოვრებაში“) თამარის შვილს, თბილისიდან გადახვეწილ რუსულად მეფეს და მის ლაშქარს.

ბრძოლაში წარმეული ნივთები „დროშა და თავი თვთან მალისა სულთანისა“ მიუთითებიათ რუსულდანიისათვის, რისთვისაც „გვყო წყალობა და გვბოძა ჭილდოდ, რაც ვეაჭეთო“.

ცოტა ჭვევით, ამავე სიგელში ვკითხულობთ: „...და დროშაცა შევსწირეთ მეხოიშენსა ჩუენსა (ე. ი. რუსულად მეფეს. ს. ს.), და თავი მრავალძალსაო“.

საყურადღებოა, რომ რუსულდანიისათვის ბოძებული დროშა და შუბი საუკუნეთა განმავლობაში ამ თავთან ერთად მრავალძალის ტაძარში ინახებოდა. ადგილი საფიქრებელია, ეს ნივთები თვითონ რუსულდამაც შესწირა აღნიშნულ ეკლესიას, ვინაიდან მან კარგად იცოდა თავისი დედის სიმათია ამ ტაძრისადმი.

ჩვენში დღესაც ცოცხლობს გადმოცემა, თითქოს რაჭაში მოგზაურობის დროს თამარს ეს ტაძარიც მოენახულეობის.

ეკლესია მეტად მდიდარი ყოფილა ძვირფასი ხატებით და მოსკოვისა და საქართველოს სტამბებიდან გამოსული საეკლესიო წიგნებით. ისტორიკოს გ. ბოჭორიძის აღწერილობით მრავალძალის ეკლესიას ძველთაგან ამშვენებდა ვერცხლის ბარძიმი და ფეხშუმი. აგრეთვე რვალის სარკე, ოსტატურად შემუშავებული ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. სამწუხაროდ დიდძალი სიძველეებიდან და ფასეულობიდან, დროთა განმავლობაში ბევრი რამ გაქრა, ან უყურადღებობის გამო დაძველდა და დაზიანდა. თვითონ შესანიშნავი ტაძრის შენობაც სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს.

რაჭის მთა-გორებზე შეფენილი, ბევრი, ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით სწორუმოვარი ძეგლი, ახლო მომავალში თავის გულშემმატივარს მოელოდ.

# „კომუნისტი“ და „მოლოდი“ სტალინისი

## 40 წლის პარიან

40 წლის წინათ თბილისში გამოვიდა საქართველოს კომუნისტთა მებრძოლი ორგანო „კომუნისტი“.

40 წლის განმავლობაში «რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ერთგული თანაშემწე—გაზეთი „კომუნისტი“ აქტიურად რაზმავდა მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობასა და ინტელიგენციას სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადაჭრისათვის, დაუცხრომლად ეწეოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების პროპაგანდას, ზრდიდა მშრომელებს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით». გაზეთმა დიდი და საპატიო გზა განვლო, იგი მოუწოდებდა საბჭოთა ხალხს საბრძოლო და შრომითი გამარჯვებისაკენ, ეს გზა განუყოფელია საქართველოს მშრომელთა ბრძოლასა და მიღწევებისაგან. დღეს როდესაც საბჭოთა ხალხი შრომობს და იბრძვის ახალი წარმატებებისთვის კომუნისტის მშენებლობაში, გაზეთი „კომუნისტი“ ქმედითად ეხმარება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დასახულია შეიღწეულში, განაზოგადებს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოწინავე გამოცდილებას, ხელს უწყობს მეურნეობისა და კულტურის დარგში ახალ გამარჯვებათა მოპოვებას (საქართველოს კპ ცკ-ს მისალმებიდან).

ამავე დღეებში 40 წელი შეუსრულდა საქართველოს ახალგაზრდობის ორგანიზატორს — კომკავშირის მებრძოლ გაზეთს «მოლოდი სტალინეცს».

ყურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომელთა კოლექტივი მიესალმებიან საქართველოს მშრომელთა საყვარელ გაზეთებს და უსურვებენ კვლავაც წარმატებით შრომას და ბრძოლას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნისტის იდეების გამარჯვებისათვის.

სოფელი მთისკალთა (ონის რაიონი),  
ფერადი ფოტო ალ. გიორგობიანიისა.



# საქართველო

ნათელა ურუშაძე

## კინონარკვევი

**დიქტორი:** „...ქავეკავადის პროსპექტის იმ მხარეს, სადაც პუშკინის ინსტიტუტი მდებარეობს, ფალიაშვილის ასახვევი ბარნოვის ქუჩისაკენ მიემართება. ჩვენი დედაქალაქის ეს მხარე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ თითქმის გარეუბნად ითვლებოდა, ახალი და ლამაზი საცხოვრებელი სახლებით შეივსო. ქალაქის მდებარე ცხოვრება სდულს: დაპქრიან მანქანები, მოიჩქარა და მოსიერნობენ სხვადასხვა საქმით გართული ადამიანები, კამათობენ ახალგაზრდები, ღია ფანჯრებიდან ადამიანთა სხვადასხვანაირი ცხოვრება მოჩანს. შადრევნებით ამოხეთქილ პატარა ბაღებსა და სკვერებს ფერადი ყვავილებით მოჰყვინან ბავშვები — ზოგი საბანში გახვეული, ზოგი თამაშსა და მხიარულებაში გართული“.

„...ბარნოვის ქუჩაზე მდებარე № 96 სახლს, როგორც ყოველ სახლს, აქვს თავისებური ცხოვრება და თავისებური დღე. თუ არ დაგეზარებათ და სამ სადარბაზო შესასვლელის კიბეს აივლით, კარებზე მიკრული წარწერები მაშინვე გაცნობებენ, ვინ ცხოვრობს აქ. ნახეთ, ზოგიერთს როგორი ყურადღებით ამოუკვეთია თავისი გვარი პატარა, მოქროვილ ლითონის ფირფიტაზე, რომელსაც კუთხეები კოხტადა აქვს აკეცილი (მედეა ჩახავა — კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე, პავლე პატარაია). ზოგს გოგებაშვილის ლამაზი ასოები გამოუყენებია, საკმაოდ მოზრდილ შუშის ქვეშ ფრთხილად მოთავსებულ თეთრ ფირფიტაზე (ვახტანგ ფალიაშვილი). ზოგს ჯერაც ვერ მოუცლია ამ მნიშვნელოვანი საკითხისათვის და უბრალო თეთრ ქაღალდზე მელნით მიუწერია (გიორგი გეგეჭკორი). გაზის, ელექტროდანა-ხარჯისა და ბინის ქირის აღმრიცხველს ნამდვილად მოგზარდათ ერთი მოზინდარის ამ უზარმაზარ კორპუსში ძებნა. რომელიღაცას მოუსარებია და კუთხეში მიუწერია — თუმანიშვილი. ამით როგორც საქმეზე მოსულები, ისე სტუმრებიც გაუთავისუფლებია რუსთაველის თეატრის რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის საცხოვრებელი ადგილის საკმაოდ შემაწუხებელი ძიებისაგან... ზოგი მცხოვრების პატარა ბავშვს შეუტანია გარკვეულობა და საკუთარი ხელით ზედ კარებზე გამოუყვანია ფანქრით (მედეა ჭაფარიძე — რევაზ თაბუკაშვილი)“.

„...არის ისეთი კარიც, რომელსაც სრულიად არაფერი არ აწერია — მესამე შესასვლელში, პირველ სართულზე ხელმარცხნივ, ბინა № 31. საინტერესოა, ვინ ცხოვრობს აქ?.. თუმცა, კარები თითქმის სულ ღიაა, ასე რომ, როდესაც გნებავთ, მაშინ შეგიძლიათ შეაღოთ იგი და შეხვი-

დეთ. მართალია, ჯერ დილაა და სტუმრობისათვის შესაფერი დრო არ არის, მაგრამ არა უშავს — გავკადნიერდეთ და შევალთ ეს უსახელო კარი“.

„მსახიობის ოთახი. არ გეგონოთ, რომ ის ყოველთვის ასე ანგრეულია. არის ხოლმე ძალიან დალაგებულიც. მაშინ კედლებზე მოთავსებული ახლობლებისა და სხვა მსახიობთა სურათები, ისევე როგორც სესილია თაყაიშვილის გვირგვინი, ცოცხალ ადამიანებსავით გამოიყურებიან. რამდენი ხანია ასე ერთად არიან ისინი და მსახიობის შემოქმედების მთელ სამყაროს შეადგენენ, — სესილია თაყაიშვილის შესანიშნავი შემოქმედების იმ დოკუმენტს, რომელზედაც ძალიან ბევრი ჩაფიქრდება. ჩაფიქრდებ-



ბა იმისათვის, რომ უბრალო სურათის იქეთ მისი გვირგვინის მთელი ცხოვრება ამოიკითხოს. ეს ცხოვრება ოდესღაც მაყურებლის წინაშე იშლებოდა სცენაზე. მოჰქონდა სიხარული. ერთსულოვანი ტაშით ღებულობდა მადლობას. ახლა კი მხოლოდ სურათია... იქნებ რამდენიმე კარგად დაწერილი სტრიქონი... რას იზამ, ასეთია მსახიობის შემოქმედების ბედი...“

„ტელეფონის ზარი. დიდხანს არავინ მიდის აპარატთან. ზარი არ წყდება. ბოლოს შემობრბის პატარა ხუჭუჭთმიანი გოგონა.

**დიქტორი:** „ეს სესილიას შვილიშვილია — მანანა გომიშვილი“.

ის თამამად და გარკვევით პასუხობს:

**დიქტორი:** „ღიას... სახლშია... ახლავე...“

სწრაფად გადის მეორე ოთახში, მესამეში, მეოთხეში, სამზარეულოში, ეზოში. მეზობლებთან ეძებს ბებიას. ასე მიაღწია მეხუთე სართულს. ყველ-

გან უთხარეს, რომ სესილია იყო და უკვე წავიდა. მანანა ისევ ეზოშია. იქ მყოფი ბავშვები შეკრიბა და ყველა ეძებს სესილიას. სხვადასხვა სართულს, ფანჯრები სწრაფად იღება — პასუხი იგივეა: „ერთი წუთია წავიდა“. მერე ვიღაცამ უთხრა სახლმმართველობისაკენ მიდიოდაო. მანანა სახლმმართველობაში შევარდა. ახლა საქებაში გააგზავნეს — იქიდანაც უკვე წასულიყო.

**დიქტორი:** „რამდენ ადგილას მოუწვრია მისგა სესილია თაყაიშვილის ამ დილადრიან... იქნებ გგონიათ უსაქმობით?.. არა. ცხოვრების სინამდვილისადმი, ერთი შეხედვით თითქოს სრულიად უმნიშვნელო ამბისადმი და უშრეტელი ინტერესით აღსავსე, იგი სხვადასხვა ასაკის, ხასიათისა და მდგომარეობის ადამიანებს ხვდება. ამ წუთის საქმით გართულს არ იფიქროთ რაიმე გამორჩეს. დაკვირვების უნარი და ნახულის დახსომება დიდი ხანია პროფესიულ თვისებად ექცა. სესილია თაყაიშვილი კარგად იცის, რომ ადამიანები საოცრად უშუალონი არიან ცხოვრებაში. სწორედ აქ, მათთან ყოველდღიურ შეხვედრებსა და ურთიერთობაში, სხვებისთვის უხილავად ამოიკითხავს ხოლმე იგი თავის თანამედროვეს, როგორც თეატ-

მყოფ მეზობელს და ყელში ხელი გამოისვა. მეოთხე სართულზე მყოფი მაშინვე მიხვდა, რის თქმა უნდა ეზოში მყოფს: აღარ შემიძლია, მახარობენ ეს შვილიშვილებიო...“

**დიქტორი:** „მეოთხე სართულზე მყოფ ბებიას ასეთვე პასუხის გაცემა უნდა, მაგრამ არც ერთი ხელი თავისუფალი არ ჰქონდა...“

სესილიამ გზა განაგრძო და სახლში შევიდა. სწრაფად გახანდა ნატოს. ხელპირი დაბანა, ასაუზმა. დაძინა. რაღაც წერილობრივი გავცხა.

**დიქტორი:** „კიდევ კარგი, დღეს რეპეტიცია არ ჰქონდა, თორემ როგორ მოასწრებდა ამდენ საქმეს...“

გაფინა. ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს.

**დიქტორი:** „ქ-ნო სესილია. ნახევარმა დღემ თითქმის გაიბრინა. სულ რამდენიმე საათი და დარჩათ წარმოდგენამდე... ხომ უნდა გაიხსენოთ ის ცხოვრებაც, რომელშიც ამ საღამოს თქვენი გვირი ჩაებმება. შეიგრიძნოთ მისი ხელები, სახე, მთელი მისი არსება საკუთარ ფიზიკურ ბუნებად უნდა აქციოთ. თქვენ ხომ სხვანაირად არც ერთი როლის თამაში არ შეგიძლიათ...“

სესილია წვეს. ფიქრობს. ხელში აიღო ახალი როლი — ძიძა შოუს პიესაში „კვისარი და კლეოპატრა“. გადაფურცლა. ისევ უკან დაღო. ისევ ფიქრობს.

**დიქტორი:** „მგონი ჩათვლია... ნეტავ, რომელი სათია?...“

საღამო მოახლოვდა. ფეხაკრეფით შემოდის მანანა და ატყობინებს ბებიას, რომ თეატრში წასვლის დრო მოვიდა.

**დიქტორი:** „ხალხი სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდა დასასვენებლად. მსახიობები კი კვლავ სამუშაოდ მიიჩქაროდნენ. სესილია თაყაიშვილის საკაზმულოში მსახიობს თავისი ძველი მეგობარი — მაღალი სარკე ელოდებოდა... რამდენ ქალს შეუხედავს ამ სარკიდან თავის შემქმნელი მსახიობისათვის. ყოველი მათგანი თავისებურია. არ გავს მეორეს. რა მსუბუქი საშუალებებით ახერხებს სესილია თაყაიშვილი მათ განსხვავებას: თითო-ორილა შტრიხი, მხოლოდ დამახასიათებელი და აუცილებელი“.

სესილია თაყაიშვილი გარმის გასაკეთებლად ემზადება. ყურადღებით დააკერდა სარკეში გამოხატულ საკუთარ სახეს და იწყებს შიშინის გრძის. მოგონებასავით ამოცურდნენ მეხსიერებაში ძველი გვირგვინი, რომელთა სახეც ამ სარკეში ესახებოდა ხოლმე.

სესილია თაყაიშვილი განაგრძობს წარმოდგენისთვის მზადებას.

**დიქტორი:** „თუ ამ დროს შემთხვევით, სესილია თაყაიშვილის საკაზმულოში აღმოჩნდებით, მსახიობის მუშაობის მეტად საინტერესო და თავისებურ სურათს იხილავთ“.

ს. თაყაიშვილი იცვამს, თან ჩამცემელ შიგ თამაშობისას. ვაიმე...“ ნატო თხრილში ჩავარდა.

**დიქტორი:** „არ გეგონოთ, რომ ეს ამბავი რაიმეთი უკავშირდებოდეს დღევანდელ წარმოდგენას...“

უტყბ, ერთი წუთით, დაკვირვებით ჩააქვრდება თავის სახეს სარკეში და რაიმე წერტილს ან მსუბუქად გავლებულ ხაზს აღნიშნავს ზედ. მე-





რე ადგება, ლაპარაკით ოთახის მეორე კუთხეში ჩამოკიდებულ კოსტუმებთან მივა, აიღებს რომელიმე მის ნაწილს, ვთქვათ ქვედაკაბას, ჩაიცვამს. აღმოჩნდა, რომ ის გარღვეულია. ჩამცემელი ნემსსა და ძაფს ამზადებს. სესილია გაჯაგრდა.

**დიქტორი:** „რამდენი დრო შეიძლება დააკარგინოს ადამიანს ასეთმა წვრილმანაც კი...“

სესილიამ სარკეში ჩაიხედა — აინტერესებდა კიდევ რამდენი დრო დასჭირდებოდა გარღვეულის გაკერვას.

ჩამცემლმა კერვა დაამთავრა და ძაფი მოსწყვიტა. ს. თაყაიშვილმა კაბა გაისწორა და ისევ საგრძობად მაგიდასთან დაბრუნდა. ერთი წამით ყურადღება ისევ სახეზე გადააქვს, ისევ რაღაცას აღნიშნავს; მასზე და ისევ კოსტუმებისკენ მიემართება. ასე გრძელდება მანამ, სანამ გრიმის გაკეთებისა და კოსტუმით შემოსვის პროცესი ერთდროულად არ დამთავრდება.

**დიქტორი:** „დააკვირდით, სახისა და ტანსაცმლის შეცვლასთან ერთად, როგორ თანდათან იცვლება მსახიობის მიზრამობრა, სიარული, გამოხედვა, ლაპარაკის მანერა. ის გატაცებით განაგრძობს საინტერესო ამბის თხრობას, მაგრამ მისდუნებურად უკვე დღევანდელი გვირის სახით“.

„წარმოდგენა დამთავრდა. ემოციური და გონებრივი დატვირთვის ნამდვილად უმძიმესი პროცესი“.

დადლილი მსახიობი გრიმს იხსნიდა. მის საკაზმულოში დღევანდელი სპექტაკლით აღფრთოვანებული მაყურებელი იჯდა, ის თავის ალტაცებას თითქმის ყველა ადამიანისათვის სასიამოვნო ქებაში გამოხატავდა. ს. თაყაიშვილი მადლობას უხდოდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ თვითონ სწორედ იმ სცენით იყო უკმაყოფილო, რომელსაც სტუმარი უქებადა.

**დიქტორი:** „...მსახიობზე კარგად ვინ შეიძლება იცოდეს თავისი ნაკლოვანებანი — თუ ის ნამდვილი მსახიობია, რა თქმა უნდა“.

ს. თაყაიშვილი თეატრიდან გამოვიდა.

**დიქტორი:** „რა სასიამოვნოა თეატრიდან სუფთა ჰაერზე გამოსვლა...“

ს. თაყაიშვილი ფეხით გაუდგა შორ გზას სახლისაკენ.

**დიქტორი:** „...ხვალ ახალი პიესის რეპეტიცია აქვს — შოუს „ჰეისარსა და კლეობატრაში“ ძიძას როლს ამზადებს...“

ხილვე მიმავალი ს. თაყაიშვილი ერთ წუთს შეყოვნდა — რაღაც წარმოთქვა თავისთვის. სახეზე სიამოვნება ემჩნევა.

**დიქტორი:** „რასაკვირველია, რა უცნაურ დროს და მოულოდნელ ადგილას შეიძლება მიაგნოს მსახიობმა განწყობილებას, რომელსაც დიდი ხანია ეძებს...“

გაკვირვებულმა გამვლელებმა მართოდ მიმავალ ქალს მიხედეს. რაღაც ანიშნეს ერთმეორეს.

**დიქტორი:** „...იცნეს...“

ავტობუსიდან გაჩერებაზე რომ გადმოვიდა, თავის მეზობელს, სხვა თეატრის მსახიობს შეხვდა. ისიც თეატრიდან სახლში ბრუნდებოდა (მედია ჩახავა). ერთად მიდიან და საუბრობენ.

**დიქტორი:** „ამ მსახიობმა მეტად პასუხსაგები როლი ითამაშა ახლახან. რა ძნელი შთაბეჭდილების სიტყვებში გამოხატვა ისე, რომ მსახიობს კონკრეტულად გააგებინო მისი მიღწევაც და ხარვეზებიც. გამოსწორების გზა მიაჩნდა. სხვანაირად რა აზრი აქვს, აბა, ლაპარაკს?... თვითონ მსახიობმა, სესილია თაყაიშვილმა კარგად იცის, რა ფაქტზე უნდა მიუღწე შემოქმედს, რომ გულისტკენამ როლისადმი ინტერესი არ დაუკარგოს...“

სახლისაკენ მიმავალ ორ ქალს სხვა მსახიობებიც დაეწივნენ და შეურთდნენ. ყურს უგდებენ.

**დიქტორი:** „ყველას აინტერესებს სესილია თაყაიშვილის აზრი. იმიტომ, რომ სიმართლეს იტყვის. იცის სულ მცირედით კარგის დანახვა... სადაც საჭიროა — მოეფერება, სადაც საჭიროა — კამათი... ჩხუბიც...“

სახლისაკენ მიმავალი მსახიობები უკვე ცხარე კამათში არიან გართულნი. ს. თაყაიშვილი აღლევებული ლაპარაკობს, რაღაცას უჩვენებს — მგონი ვილაცას აჯაგრებს. დანარჩენებიც ლეღვენ.

**დიქტორი:** „აი, ხომ ხედავთ, კამათობენ... მგონი ჩხუბობენ კიდევ... რაზე? — ამას ვერ გეტყვით, რასაც

მსახიობები ერთმეორეს ეუბნებიან, სხვისთვის გასაგონი არ არის — საიდუმლოა...“

ეზოს მოაღწიეს. სხვადასხვა მხრიდან შემოდიან სხვა მცხოვრებლებიც — თბილისის ყველა თეატრის, ღირიორების, კომპოზიტორების, მოცეკვავენი, მუსიკოსები... ერთმანეთს თავაზიანად ესაუბრებიან. ყველა თავისი ბინისაკენ მიემართება.

31 ბინის კარები უხმოდ გაიღო და ისევ უხმოდ მიიხურა. ს. თაყაიშვილმა ზედა ტანსაცმელი გაიხადა, ფეხი საშინაო რბილ ფეხსაცმელში ჩაყო და პირდაპირ საბავშვო საწო-

ლი ოთახისაკენ გაემართა. პატარა ნატოს საბანი სულ გადაფეცო. მანანას ხუჭუჭა თავი ბალიშიდან ძირს გადმოვარდნოდა. ერთს გაუსწორა აშლილი ლოგინი, მეორეს საღებავი თავქვეშ ამოუღო და კარზე ჩაიკეცა რეფით გამოვიდა.

**დიქტორი:** „ცოტა ხნის შემდეგ იმ ოთახის ფანჯარაშიც ჩაქრა შუტი, სადაც სესილია თაყაიშვილის გვირები დადილი მსახიობს ელოდებოდნენ“.

თანდათან ქრება შუტი მთელ სახლში. ს. თაყაიშვილის ფანჯარაშიც.

**დიქტორი:** „...დღე დაილია... ახლოვდებოდა მსახიობის მოუსვენარი ცხოვრების ასეთივე მდღეობა და საინტერესო შემდეგი დღე...“

**საღვაჭთა კვაზიმოდო**

**მოთქმა სამხრეთში**

ჩრდილოეთის ცას  
 აფერმკრთალებს დადლილი მთვარე...  
 ქარში და ნისლში  
 დამკარგვია ძვირფასი ფიქრი,  
 მე აქ ვარ ახლა,  
 ამ ტყეებში, მდინარეებში  
 გადავივიწყე ჩემი მიწა,  
 ჩემი სამხრეთი.  
 გადავივიწყე სიცილიელ მწყემსთა სიმღერა.  
 მეუცხოვება მტკრიან გზაზე  
 ურმის ჭრიალი,  
 გადავივიწყე ჩემი მიწა,  
 სადაც კოკონთა  
 კვამლი დრუბლებად ეფინება  
 დახეთქილ მინდვრებს.  
 მე დავივიწყე იმ მშვენიერ  
 ჩიტთა გალობა,  
 მე დავივიწყე იმ მშვენიერ  
 ხეთა შრიალი.

აღბათ, სამხრეთში ვერასოდეს ვერ დაგბრუნდები,  
 ის დაიღალა,  
 დაიცალა და გაიცრიცა,  
 ძალა არ ჰყოფნის,  
 რომ ცხედრები გადაათროს  
 ცივებით სავესე ჭაობებში,  
 ვით საფლავებში.  
 ჩემი სამხრეთი  
 დაიღალა და გაიცრიცა  
 ცრემლით,  
 ტყვილით,  
 მარტოობით  
 და მკვდართა წყველით.  
 ზრიალებს ქარი  
 და გვამებით სავესე ჭებში,  
 ჩანწლებული,  
 ჩანგრული,  
 ჩამაალი ჭებში.

იქ გუბეები ირეკლავენ სისხლსა და წუხილს,  
 მისი შვილები გადაკარგულ მთებში გარბიან,  
 ვიწრო ბილიკთან აკაცია შრიალებს ერთი,  
 ერთი წითელი აკაცია შრიალებს მხოლოდ.  
 აღბათ სამხრეთში ვერასოდეს ვერ დაგბრუნდები,  
 დე, დაკვიდოს ნისლი ფიქრებს,  
 როგორც დამურა.  
 დე, ჩრდილოეთის მოწყენილი დასალიერი  
 ემსგავსოს დღეთა დასასრულს და აივსოს თოვლით,  
 გამწარებული წამოვდგები  
 ყინვის წკრიალში,  
 წვიტ და წვალვებით  
 დაფუწყვილებ რისხვას სინაზეს  
 და თუმცა უკვე სიყვარული არ შემოძლია—  
 მაინც დაკარგულ სიყვარულზე ვიმღერებ ისევ.  
 იარგანა თ. ზილაძე



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ძილის ბუნების ასახსნელად მრავალი თეორია შეიქმნა. მათ შორის უნდა დავახსნათ ე. წ. „ქიმიური თეორია“, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სიფიზილის დროს ორგანიზმში გროვდება ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები, რომელთა გასწავლვად რაოდენობა მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და იწვევს ძილს ორგანიზმში. ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების დაგროვებას თუმცა მნიშვნელოვან აქვს ძილის განვითარებისათვის, მაგრამ ვერ ხსნის ძილის ნამდვილ ბუნებას. ამ მხრივ უფრო ადეკვატურია იპურობს ცნობილი საბჭოთა ფიზიოლოგის პ. კ. ანონინის დაკვირვება „შეხორცებულ“ ტყუპებზე, რომელთაც ჰქონდათ საერთო სისხლის მიმოქცევა. „ქიმიური თეორიის“ თანახმად, ტყუპებს ერთდროულად უნდა დაეძინათ, რადგან მათ სისხლის საერთო მიმოქცევა და განცალკევებული ნერვული სისტემა გააჩნდათ და გაცივლის პროდუქტები ნერვულ სისტემაზე ერთდროულად და ერთნაირად იმოქმედებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვითველ ტყუპს შეეძლო დაეძინა და გაეღვიძა დამოუკიდებლად. ამგვარად, ძილის „ქიმიური თეორია“ არ გამართლდა.

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა ი. პ. პავლოვმა დაამტკიცა, რომ სიფიზილე და ძილი თავის ტვინის ქერქში მიმდინარე ორ ძირითად ფიზიოლოგიურ პროცესზე, — აგზნებასა და შეკავებაზეა დამოკიდებული. ი. პ. პავლოვის მიხედვით, ძილი არის შეკავების პროცესის გავრცელება თავის ტვინის ქერქის უჯრედებზე და მის ქვეშ მდებარე წარმოქმნებზე.

ერთსახოვანი ხასიათის ხანგრძლივი გაღიზიანება აუძლურებს თავის ტვინის ქერქის შესაბამის ცენტრებს, იწვევს მათში დაცვიითი შეკავების პროცესს, რაც ვრცელდება მთელ ტვინზე და იწვევს ძილს. ასეთია, მაგალითად, წისკვილში, მატარებელში, თვითმფრინავში, ბგერითი ან სხვა ხასიათის ერთსახოვანი გაღიზიანების პირობებში განვითარებული ძილი.

ადამიანის ცხოვრების განმავლობაში გამოიყოფილი უძველესი პირობითობა და ჩვევები დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძილის აღდგარში. ასეთებია, მაგალითად, საძინებელი ოთახი, გარკვეულ საათებში დაწოლა, სიბნელე ან შეჩვეული „სინათლე“ ძილს ხელს უწყობს ზომიერი დადილობა, ჰაერის სასიამოვნო ტემპერატურა, ჰაერის სისუფთავე, თბილი წყლის აბაზანის მიღება, რბილი საწოლი, სიჩუმე და ა. შ.

ძილის დროს შესაძლოა შეკავების პროცესი არ გავრცელდეს თავის ტვინის ქერქის ზოგიერთ უბანზე და ის აგზნებული დარჩეს. ეს მოდარაჟე პუნქტები ფიზიოლოგნი და ამგვარი სიფიზილე ხშირად საჭიროც კი არის მძინარე ადამიანის ინტერესებისათვის. ასე, მაგალითად, მეტეორ დედას ბავშვის პირველი ტირილის ხმაზე უმალ გამოეღვიძება; მძინარე მეწიქველ მაშინვე გაიგებს საფრთხის ჩამოთავებას; დაძინებული მხედარი გამოფიზილდება ცხენის სიარულის შეჩერებისთანავე; ელექტროსადგურის მორიგე გაიღვიძებს, როგორც კი ძრავის მუშაობა შეწყდება და სინათლე ჩაქრება და ა. შ.

როდესაც ძილში მყოფი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესები არ გარეგანი გაღიზიანებანი (შეხებითი, ყნოსვითი, მხედველობითი, სმენითი) სუსტია და გაღვიძებისათვის საკმარისი არ არის, მაშინ ისინი გავლენას ახდენენ მოდარაჟე პუნქტებზე, იწვევენ მათ განცალკევებულ ამოქმედებას და წარმოშობენ სიზმარს — ზღაპრული, სინამდვილისაგან განსხვავებული მოვლენებით. ფიზიკურ მდგომარეობაში მდებარე შთაბეჭდილებებთან მძინარე შეიძლება გარეგანი და შინაგანი გაღიზიანებების შეუღლებით იქმნება ქაოსური, ბუნდოვანი, შემთხვევითი სიზმრის შინაარსი.

სიზმარი ზერეულ ძილში ვითარდება, როდესაც ძილში გრძელდება თავის ტვინისათვის ჩვეული მუშაობა, მაგრამ შეცვლილად, ბუნდოვნად. სიზმარში არ განმეორდება ის, რაც არ უნახავს და არ განუცდია ადამიანს.

სიზმრის შინაარსი დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლის პერიოდში მიღებულ შთაბეჭდილებებთან და წარმოდგენებთან, რაც მესხიერებაში ინახება კვალის სახით. მესხიერებაში კვალის სახით შენახული შთაბეჭდილებები და წარმოდგენები ერთმანეთთან უჩვეულო კავშირს ამყარებენ, ეს კი ქერქისა და ქერქქვეშას შეუთანხმებელი მოქმედების მაჩვენებელია და ამიტომ სიზმარს ხშირად ქაოსური, დაუკავშირებელი და ზოგჯერ ფანტასტიკური ხასიათი აქვს.

შინაგანი ორგანოებიდან მომდინარე გაღიზიანებები ხშირად ქმნის სიზმრის შინაარსს. მაგალითად, შარდის ბუშტის გავსებისას ძილში შარდზე მიდგომის განუხორციელებელი მისწრაფება ვითარდება მასთან დაკავშირებული მრავალგვარი მოვლენებით. პირის სიმშრალე სასმელი წყლის ძებნას და წყურვილის

დაუკმაყოფილებლობას იწვევს. მძინარე ადამიანი სიზმარში ეძებს სასმელ წყალს და ვერ პოულობს მას, ან ხედავს კლდიდან მოჩუხჩუხე წყაროს და ვერ ახერხებს ახლოს მისვლას და სხვ.

მრავალი დაკვირვება ჩატარებული იმის გამოსარკვევად, თუ როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის გაღიზიანება ძილზე და სიზმრის წარმოშობაზე. დადგინდა, რომ სიზმარში ჭარბობს მხედველობითი ელემენტები და მძინარე ადამიანზე გარეგანი და შინაგანი გაღიზიანებათა ხასიათის შესაბამისად ვითარდება სათანადო მხედველობითი გამოსახულებები. მაგალითად, მძინარე ადამიანის სხეულის ნაწილების მოძრაობამ გამოიწვია სიღრმეში ჩავარდნის გამოსახულებები; სხეულის გატიტვლებამ — წყალში ჩავარდნის სცენა, კარის ჭრიალმა — მძარცველების თავდასხმის სურათები. მძინარე ადამიანმა ყვავილების სურნელების გავლენით ნახა ნაირ-ნაირი ყვავილების სურათები; ქაფურის ზეთის სუნმა გამოიწვია ისეთი სიზმრები, სადაც გამოისახა წამლები, ავადმყოფები, ექიმები.

ვ. კასატკინმა (1958) ჩვეულებრივი სიზმრების ანალიზისა და სპეციალური ცდების (62 ადამიანზე ნაწარმოები იყო 480 ცდა და ჩაწერილი 404 სიზმარი) საფუძველზე გამოიტანა მეტად საყურადღებო დებულებები სიზმრის შინაარსზე გარეგანი გაღიზიანების გავლენის შესახებ. მძინარე ადამიანზე ნაცადი იყო სულ სხვადასხვა გამღიზიანებელი: სინათლე, ბგერა, თერმული, მექანიკური, ყნოსვისა და გემოვნების ანალიზატორებზე შემოქმედება.

სიზმრის ფორმირებაში მნიშვნელობა ენიჭება ასაკს, სქესს, გადატანილ განცდებს, შრომის ხასიათს, ნერვული სისტემის ტიპს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, გარეგანი და შინაგანი გაღიზიანებებს და სხვ.

სუსტი და აგზნებადი ტიპის ნერვული სისტემის მქონე ადამიანებში სუსტი გაღიზიანებები საკმარისია აშკარა და ხშირად მშფოთვარე სიზმრების წარმოშობისათვის. ძლიერი ნერვული სისტემის მქონე პირებში კი სიზმრის წარმოშობისათვის ძლიერი გამაღიზიანებელია საჭირო.

ოთახის ტემპერატურის აწევა ან დაკლება ხშირად იწვევს სიზმრებში მხედველობით გამოსახულებებს და სცენებს; სადაც ეს გამოსახულებები და სცენები დაკავშირებულია ტემპერატურულ ფაქტორთან.

მძინარე ადამიანთან ახლოს შესრულებულმა ნაცნობმა მელოდიამ შეიძლება განავითაროს მხედველობითი სცენები, დაკავშირებული ამ მელოდიასთან. ჩხვლეტა—სიზმარში იწვევს დაჭრას, წყლულის გაჩენას. თამბაქოს ბოლის შებოღება მძინარე თამბაქოს მწველზე იწვევს მხედველობითი გამოსახულებებს, დაკავშირებულს თამბაქოსთან და თამბაქოს წევასთან.

სიზმრის შინაარსი სიზმარში ნახულისა და განცდილის შეუცდომელ ასახვას არ, წარმოადგენს, რადგან სიზმრის შინაარსი სიტყვიერად დამოცემას ემყარება და სიზმრის ნაწილი ადამიანს ავიწყდება, მასში შეაქვს ზოგიერთი შესწორება, ჩამოაშორებს ბურუსოვან ელემენტებს და უფრო ჩამოყალიბებულად და ნათლად წარმოგვიდგენს მას.

თანდაყოლილ ბრმებს სიზმრებში არასოდეს არა აქვთ მხედველობითი გამოსახულებები, ანუ ბრმები სიზმარშიაც ვერ ხედავენ, ხოლო სიცოცხლეში დაბრმავებულებს კი დიდხანს რჩებათ ჩვეულებრივი სიზმრები მხედველობითი გამოსახულებებით. ასევე თანდაყოლილ ყრუს სიზმარშიც არ ესმის ბგერები და სიტყვები.

სიზმარში ზოგჯერ მეორდება, ან ფანტაზიურად ხორციელდება სიფიზილეში მიღებული სასიამოვნო, ან არასასიამოვნო ოცნება. თუ სიზმრის შინაარსი მომავალში „განხორციელდება“, მაშინ ცრუმორწმუნე სიზმარს წინასწარმეტყველების მნიშვნელობას მიაწერს, ხოლო თუ სიზმრის შინაარსი „არ გამართლდა“, მაშინ ასეთ სიზმარს ადამიანი, ჩვეულებრივ მალე ივიწყებს.

ძილის აშლილობა გვხვდება მრავალგვარ ავადმყოფურ მდგომარეობათა დროს. უძილობა, არასაკმარისი ძილი, ზერეულ ძილი შემადარწუნებელი სიზმრებით, ან გადაჭარბებული ძილიანობა, ძილის ფორმულის შეცვლა — დღისით ძილი და ღამე უძილობა, ხშირად ავადმყოფობის მთავარი ნიშანია; ზოგიერთ ნერვულ დაავადებათა შემთხვევებში კი ეს აშლილობა დაავადების ძირითად გამოყვანებას წარმოადგენს. ამიტომ ნორმალური, დრმა ძილის მიღწევა ჯანმრთელობის აღდგენისა და შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.




# ქართული წიგნის ისტორია



1922 წელს გალაქტონ ტაბიძემ გადაწყვიტა ეურნალის გამოცემა. — ამ ეურნალის გაფორმებით შემოვიდა ახალგაზრდა მხატვარი — ლადო წილოსანი ქართულ საბჭოთა გრაფიკის ისტორიაში. მხატვარმა აქ აჩვენა ტექსტისა და სამკაულის კარგი განაწილება. მისი შრიფტი მხატვრული, მკაფიო და ადვილი წასაკითხი იყო. ფერადოვნება — გააზრებული.

ლადო დავითის ძე წილოსანი დაიბადა 1885 წლის 12 ნოემბერს ქ. ბორჯომში. მამის სიკვდილის შემ-



დგომ, — 1892 წელს — ოჯახი საცხოვრებლად ვლადიკავკასში გადავიდა. იქვე გამოიჩინა ბავშვმა წარმატება ხატვაში... 1908 წლიდან იგი თბილისშია და სკოლაში ხატვას ასწავლის. 1909 წელს წილოსანი ბაქოში იქაურ მხატვრებთან ერთად მუშაობს „ბაქოელების“ მიხედვით, მისი ნახატები ბაქოს ეურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. ბაქოშივე დებულობს მონაწილეობას სამხატვრო გამოფენებში. წილოსანის მიერ აქვარულით შესრულებული „ბაქოს ხანის სასახლე“ და „ძველი ქალაქი“ შექმნილი იყო ბაქოს მუზეუმის მიერ.

1922 წელს წილოსანი შედის ახლად გახსნილ თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ამავე დროს იგი მუშაობს ქართული წიგნებისა და ეურნალების მხატვრულ გაფორმებაზე — „სახელგამში“, „ქართულ წიგნში“, „დროშაში“, „მეტეხის“ მუზეუმში, საქართველოს მუზეუმში. მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებზე: საქართველოში, რუსეთში და საზღვარგარეთ. წილოსანმა აკადემიის არქიტექტურისა და გრაფიკის ფაკულტეტები დაამთავრა 1929 წელს; შემდეგ იგი ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა 12 წელი, მონაწილე იყო მრავალი სამეცნიერო ექსპედიციისა, სადაც მას შესრულებული აქვს ასეთლებით აზომვა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო წილოსანის მუშაობა გამოცემებზე „ქართული წიგნისათვის“ 1925-26 წლებში მან გააფორმა მხატვრულად „ქართული წიგნის“ აკადემიური, უნივერსალური და „სახალხო ბიბლიოთეკის“ სერია. მას ეკუთვნის გაფორმება ი. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური და სერიული გამოცემებისა, წარმოდგენილი სამი ვარიანტის სახით. მასვე ეკუთვნის „ქართული წიგნის“ მეტად საინტერესო საგამომცემლო მარკების ვარიანტებიც.

ილიას გაფორმებისათვის მხატვარს კარგად აქვს მოხმარებული ქართულ კანკელთა არქიტექტურული მოტივი. საინტერესოა და მეტყველი ქართული ლიუნეტი, შიგ ჩაწერილი ფრონისანი ლომით. ეს სიმბოლო აქ მეტყველია, პერალდიუტური, გრაფიკული და მხატვრულით არის დახასიათებული. მხატვრის მიერ შექმნილი ორი ვარიანტი ერთი მეორეზე უკეთესი და ლაბილარულია. შესანიშნავადაა გადაშეშვეული მხატვრის მიერ ძველი ბარელიეფის მოტივი ბაგრატის ტაძრიდან. წილოსანისათვის ნიშანდობლივია მოტივთა მრავალფეროვნება,

ბლასტიკური გამომგონებლობა, ფართო და შემოქმედებითი მოხმარება ძველი ქართული მხატვრული მემკვიდრეობისა.

წილოსანს ეკუთვნის ასევე საბჭოთა მწერლების თხზულებათა გაფორმება. მას აქვს შექმნილი სანდრო შანშიაშვილის „შოთას ბეჭედის“ საინტერესო ყდა. კომპოზიციის გული თითქოსდა მართლაც ბეჭედში ჩასმული ძვირფასი თვალია.

წილოსანს შესრულებული აქვს ყდები ეურნალებისათვის „ქართული მწერლობა“, „საქართველოს ეკონომისტი“, „ცისფერი ყანწები“, „არიფონი“, „საქართველოს კინო“, „კავკასიონი“ და სხვათათვის.


გრაფიკული დახვეწილობით, ქართული ასოს გამოხატვითი მოხმარებით და ლიტერატურულ ნაწარმოების ხასიათთან შეთანხმებით არის აღბეჭდილი ნიკოლოზ მიწისულის „გარდაცვალების“, „შავი ვარკვლავის“ და სხვათა ყდები. წილოსანსვე ეკუთვნის გ. ვეშაბელის „ახალი საქართველოს“ და ა. ჭიჭინაძის „ცხელი ქვეყნების მცენარეული და ცხოველების“ ყდები. წილოსანი აქ ცდილობს სახვით ელემენტს და მოტივს, ასოს გრაფიკული დატვირთვა, მისცეს ემოციური ძალა და მხატვრული გამოხატვლობა.

შრიფტისა და ნახატის, ასევე სახვითი მოტივისა და ყდის კომპოზიციური გააზრების მხრივ საოცრად დახვეწილია ყდები: ვალერიან გაფრინდაშვილის „ლეკებისათვის“. აქ ქალის პროფილის — ოფელის თეთრი სილუეტი — პროფილი — ცისფერზე, შავი არშით მოჩაჩობებული, გამოყოფილია თეთრი ჩარჩოთი. ყდა დიდი მხატვრულით გადმოსცემს გაფრინდაშვილის ადრეული პოეზიის სურნელებასა და ლანდურ სამყაროს.

საოცრად პოეტურია, ლაკონური და მოკვეთილი წილოსანის მიერ შესრულებული სტენდალის „იტალიური ქრონიკების“ ყდა — ცენტრში დაშვებული ორლესულით; კოლაუ ნადირაძის „ლეკების“ ყდა — სტილიზებული ზღვითა და ჰორიზონტით, ასევე სტილიზებული ტირიფით, ვინიეტი ეგნატე ნინოშვილის გამოცემისათვის, ყდა სოფრომ მგალობლიშვილის „მოთხრობებისათვის“ — ცენტრში მოთავსებულ მედალიონზე ამოხატული პეიზაჟითა და საყოფაცხოვრებო სცენით, ყდა ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვერვისათვის“ — მისი, განსაკუთრებით კარგად მოძებნილი, უაღრესად მეტყველი და რომანტიკული ვინიეტი, წილოსანსვე ეკუთვნის შესანიშნავი ყდა გ. ბარნოვის „თბილისის აჩრდილებისათვის“, აქ, მას დიდი მხატვრული აღლოთი აქვს ვაცოცხლებული ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი — ნარიყალა. ამგვარი მოტივი წილოსანს პირველად შეაქვს ქართული წიგნის გრაფიკის კომპოზიციასა და მხატვრულ გააზრებაში.

საინტერესოა ყდები შოთა რუსთაველისათვის: — ერთი მათგანი გადაწყვეტილია ძალზე ორიგინალურად, ხატოვანად და იმავე დროს ფერადოვნად. მხატვარი აქ ფერადოვნებასა და ლაქოვანებას ამყარებს თვით ვეფხვის ტყავის სახიერებაზე,

იგი დიდი მხატვრულით, ფერადოვნებით და იმავე დროს გრაფიკულით ალადაგენს ვეფხვის ტყავის ფონს და მას მოიხმარს წარწერისათვის. კარგია მისი მეორე ვარიანტიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კომპოზიციაში ჩაწერილი რუსთაველის პორტრეტის სილუეტი პეიზაჟის ფონზე. წილოსანს ეკუთვნის ასევე აკადემიკოს შ. ამირანაშვილის „ირანული მხატვრობის“, „ქართული ხელოვნების ისტორიის“, მუზეუმ „მეტეხის“ საგამომცემლო ღერბის და სხვა მრავალ გამოცემათა



გაფორმება. აქ ყველგან ჩანს სახვითი ელემენტისა და მოტივის არტიტული მოხმარება.

წილოსანს აქვს ასევე მეტად საყურადღებო ცდები ქართული მხატვრული შრიფტის შექმნისა და ქართული წიგნის ნიშნის ეგრეთ წოდებულ საქმეშიც. მის მიერ შექმნილი წიგნის ნიშნები რამდენიმე ათეულს აღემატება და იგი ამ დარგში ქართველ გრაფიკოსთა შორის ყველაზე ნაყოფიერია.

1922 წლიდან ვიდრე 1940 წლამდე ლადო წილოსანი ბევრს მუშაობდა ქართული წიგნის გაფორმებაზე. ამ მხატვრის გაცნობით ჩვენი საზოგადოება ეცნობა იმ მიღწევებს, რაც ქართულ საბჭოთა გრაფიკას გააჩნდა მისი განვითარების ადრეულ საფეხურზე. წილოსანი ნაყოფიერად მუშაობს, აგრეთვე, დაზღუდული გრაფიკის და აკვარელის სფეროშიც.

ლადო წილოსანის მიერ გაფორმებული წიგნები და მისი თავგამოდება ქართული გრაფიკისათვის აღსატურებუნ, რომ იგი ნამდვილად არის ქართული საბჭოთა გრაფიკის შემუშავებისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირველი აქტიური თანამონაწილე, მეტად საინტერესო. ამადარი მხატვარი-გრაფიკოსი.

ზალვა კახსხაძე,





ბარაბ მომთავილი

ან ზარბაზნაძე

შეგი კვირა დღს მიხვდა. ახალი მოღვევებული იყო. მიწას ცხელი წყვიდა და დამო-სხელი სიციხე ჩამოყვა. ქალმა ფეხი დაიხია, ჩუხე გადმოვირიალ ფეხების ქვეშ ჩამოვარდა და წყალში ჩაჩურჩინდა. სხებზეც შეიხა წყალი, მკვირე შოხინა და ვეღვი დოივებული შავრამ სიხისხანე გოგონებზე ვერაფერს ვარბობდა. შერე კახიანს ხელდახდა ჩაწყა რეში. თოვ ახოვლივდა ჭქმარა, ხმა სახეს შეიხებდა ბოლბო წყალს და აქურთავდა ხელებს.


წაული შეიხილა და უკლებელ შეიხას ქალს, ქალმა იცინია, როგორ შეი-ტნა კახისა წყალმა და შეიხებზე. ხაიმივინება, რომ წყალი წელ-წელმა აც-ლიდა ქვეშევრდებ ქანებზე და თითქმის სულ დახლა-დახლა სისრავდა. უცებ ვიღაცემა თავი ხელი დაქარა და წყალში ჩააუღრბებდა. ქალს ახივითი ურთქმამ, უხად წამოხდა და თანვე ჩამოხდა სულ. კაცი არცე ვეღვათაული იდგა იქვე, იმის ფეხებთან, და იცინოდა...

„არ ხართ ქალბები, რა ხართ.“  
„არა, წაული უხდა ადგილ“ — თქვა ქალმა.  
„არ იყო, რა მიხვდა.“ ჩერბულდება კაცი. რიბინეი ფეხების ქვეშ ჩამო-დგნ. სხად ქალის ფეხსაცმლები იქნა.  
„წახვალ თუ არა?“ — ჰკითხა ქალმა.  
„ახე უხდა წყაროზე.“  
„ახე ადგილია, ქვეყნის დაღის, რას იტყვიან.“  
„რაც უნდა უნდა.“  
„შენ რა, ცოლი არა ვყავი და შეილი.“  
„შერე თხის ბრალეთა.“  
„ციხი და შენი.“  
„არა, მინც რა იყო, რა მიხვდა.“ — ჰკითხა კაცმა.  
„ის მიხდა რამ იყავი ჩემი და ქმარი შეგი.“  
„ქმარი ახლა შენც ცხებინდი კაცს ჩამოხვალ, ცალ ფეხს ძვივს ერეცა— თქვა, კაცმა და ხელს მკვირვლე ხელი ჩამოხდა — ჩაერე უფრო ადრე ვიცნოს. დიო ერისმარხი.“

„ქალბი აველა კუდიანები ხართ“ — თქვა კაცმა.  
„რაცა ვარი, ვართ.“  
„ისო, კუდიანები ხართ.“  
„არცა, შეილი.“  
„ამაბრარეც კი არ ვინდა ჩემთან.“  
„არა მინდა, მამგვალა არ მინდა, ან რაღა დროს მავალე დასარაკია, სხვა არ იყოს რა, მასწავლებელი კაცი ხარ, ჩემი ბიჭვი სკოლაში დადის.“  
„მასწავლებელი, მასწავლებელი კი არა“ — გაოცებულადაც თქვა კაცმა, და თითქმის სახე მიიბრუნა, ისე მიხვდა ვისკენ, თვითონვე მიხვდა, რომ უცნაურად თქვა და კიდევ უფრო დაინხ.

ქალმა ისევ წაული ჩაიჭურ ფეხები და ხეგონა ნაპირზე მოფულესუც ჰიგის დაუწერე ცქერა. შერე ჰიგის თითქმის ფეხებზე იქნენ, წელ-წელა შეიხინენ ქალს თავში და ახლა იქ დაიწყეს ფუსუსი. „კაცმა არ იცის მავის ასავალ-დასავალი — ფეხობდა ქალი — ქართულილ ღღეს ისწავდა ხეირიანად... ან კი როგორ ახწავდას ბავშვებს, თუცა ახვარისმა და ხატვა-ხატვას რა ბე-რი ქართული უნდა... რა ვიცი, პროფესორი კი დაარქვენ ხელად. ბარი მავის ხელში არ დამინახია და თხოი... ბარი და თხოი კი არა, მასხარადაც იდგებოდა ხაღს. ჭქმარა, ჭქმარა, არავინ შევასწარიო კლდეტკივნი... თულივი შემოცირა სოფელში... ერთი თავში მარტყვული მანც ვამოსწავლიდა... იმი იყო და აველის ხეირული დიწევი ძროხა... ან რიღს უფროსი მივანახარ-მეტიც... მთლი სოფელი ამოყვანა ტყულად...“ კაცი ფეხშიან ხედილთა რაგვრე ფე-ჩირი ის, უკვლავიერს ხელებოდა და ხოლმე ებრუნებოდა აველი, როგორც მტანჯივი სინანდლის ვაშს ებრუნება ხოლმე ადამიანს.  
„თუ ვინა ის მერეც ფეხვი მოვატყვიო ამ შენ ქმარს — თქვა კაცმა და ფეხსაც ტრეჩ ჩამოხატა — თავისივე უაფრინო ვაფხუთქვაც იყოს.“  
ქალს უნდოდა რაღაც თქვა, მაგრამ შერე ჩამოხატა წყალს და სიტყვა პირზე შეიშრა. შერეუ ვიღაცს დახედა, იცინებოდა და ერთ ამხავს იყო. ვაღდა დრო იპოვა, ფეხი მიავსა. „არადერი არ ვიციო“ თქვა და გზას დაუშ-ვა. ჭქმარა, სირბილში არბული საბავთლო მიდიოდა ქალი, თითქმის ის იყო მისი უნდა ნაწერბულადაც ხადვალ და ცდილობდა როგორმე გაეწერა იმ ადგილამდე.

შო არ გადაკიდებდა ერისმარხოს... ან ის რა კაცია, ირა წელწავია მინის მგ-ვლივი დადგეს ფეხებზეც მწარ-შეიხინა ქალს... კიბულებია ვეყვანა... შერე-რე უნდა ქალმა და ან წყარულ ტებზედ საფეხებზე, თითქმის თანის ნასყავი-რე უფედურებოდა თავს. ქალი მიხვდა, რომ ქმარმა მუღლავარტე შეიხეო და სახე შოარდა.




F-2312

დაღლილი შუე დასავლიერე ერთი. დაწავებული, მაგრამ ძალეში ნიავი კლავ სისინება და შეტკივრული ხეუბი სულს თქვაძმანენ. ლოლავებზედ გზაზე დაიწყო მათი ჩრდილები.  
ქალი წელა, დაეჭირებოდა მიდიდა. ძალეზე ადგამა ფეხებს, თითქმის თოვს ჰქონდა წაშალა და ვიღაცს მიხვდა, თვალბს უტყვილებზედ ერთ-მანეთს აჩუქდა მოაღველე ჩრდილებს და ათავბრს ჰევედენ.

„მარტო დღეს რა...“ — თქვა ქალმა.  
„დღე, ვიციბი რა, არ მთავია იმში?“ — ჰკითხა შეილი და კიბურე შეიკავალი ხელები.  
დღმა მიხვდა, რასაც ეციობოდა შეილი და არ გაეცინებოდა.  
„ვიციბი რა უნდა იმში...“  
„მართლა ვიცი იმში...“  
ქალი მკვირვლე ხეირა მავსე, მერე მკვირვლე ხეირა, რაღაცეა უნდა თქვა და შეილი შეიხელე შოალი. შიხანავა ხეილ მკვირვლე ხეირა უნდა თქვა.

# გიორგი



ღამედა სულს... ქალი გრძობდა, რომ არ იყო საჭირო აველივითი თქვა ბავ-შეისთვის... ან რა უნდა ვეცი იმას, თუხდაც თქვა, როგორ დაგხლა მასწავ-ლებელი იმს, როგორ მოიგინა ვიციბი, იმისი წელწავი ნასყავიში რომ იყდა. ან რა საჭიროა ბავშვიან მასწავლებლებს დასარაკი, იქნება ხელს ვეყვს სი-ყვარულივც ცხებებში, და ახლა იქნება ადვილი, ქალს. შეიღა სიტყვა ტიწიში და აწილდა იქნება, იქნება, იქნება.  
ბიჭი მოსიხურებდა დღეს და ვერ მიხვდავითი, რა სტეილია.

ნობარზე პატარა ბიჭები იმობანს თამბოზდენ ზოგი „ეგრისნელი“ იყო ზოცუე „ქარაბედი“, გერმანელია არავის უნდოდა და ჩხები ჰქონდათ ვერ უნდა ვიღველიო „ეგრისნელი“.  
„შე ვიიმი ვიცი ხარ — უთხრა ერთმა აველივს პატარა ბიჭს — შედი სახლებში და დაიბნე.“  
„ეფივი შენ იყავი — თქვა პატარა ბიჭმა — სახლებში რომ დინდი, უნდა ვითა-მანო.“  
„ფეხებს ამ ზოცოდენ იდებო ახივინად და ცოცხალი იქნებო“ — უთხრა ისევე ამ ვან-ჩაგანს ბიჭმა, რან დაიბნო მწერეო და ხის თოვი ვეღლე შილი.  
„რად მიხდა, სულ არ ვიციან...“ — თქვა პატარა ბიჭმა.

ქალი სახლებთან მოვიდა და უცებბრძო, როგორ იქნებოდნენ პატარები ხის ხელებსა და თოვლებს, როგორ თამბოზდენ იმს და მიამტყირი ბავშვური ალეთი იმეორებდენ ვერცხვების მოიგინო ცოცხალი. ვული თამბოზდენ, რომ ბიჭები მანქანებში იმს შულს ტანდენდენ ძაშან, მოეცინებინა ვიცი-ბა და სახლებში დასვლილიყ. მერე თითქმის რაღაცა ენიშნაო, შეიხა. ტარი აუთორობდა, ცხელი ბულივი ჩამოვარა ფეხში... მთლი დაგირბულე თოვლის გუნდასოვი დასვლილიყ ვიციო, ავი ხის ღუნაწა ბავშვობი მოსდებოდა სოფელი, თავისებურად იმეორე კაც ფეხობოდა ქალი, რამდენად შეიხელე, რომ-მდელი ურთქმარებელი ღუნაწაფეხებზე ვეღვაო. დღეს მკვირვლე შეილი კი უღველივი ღღელა ამისოლი უფრო ვიციოდა, ვეღვა ცერად დასცქერის, ვე-ღა უნდა ვეღვა და მიიღოს...  
შეიღს ჯერ დაუბნა, აუღა ათავსე და კოცოლე ჩამოვდა.

კიბებზე ვიღაცე ამოიპოვდა, ქალი ფეხს ხსავე სწინადა ქმარს და მიხვდა, რომ ის არ იყო.  
ბავშვმა გაწინა მასწავლებელი და წამოხატა. ქალს არც შეუხებდა, რამო-დაც უცებ ის ებრინებოდა, როგორ მიხვდა ქალს ფეხს ტრეჩ. ის იყო რაღაცა უნდა ვიციკა, რომ ფორმად გაჩრდა ცქრო.  
ქმარი არ მიხვლებია მასწავლებლებს.  
„არ ვინდა ის, ზოხარ და დახირნო“, — თქვა მასწავლებელმა.  
ქალი არ უნდადა მასწავლებელს თქვა ცული რომ და თავი შეეცავა.  
„შეიხე რაბი“ — უთხრა ცოლს, ერთი ვაყვინეი მიამტყირე მიხვდა და ითახის შეიღა.

მასწავლებლებს ხმა არ ამოვილა, ტური აიხლე უღაცა, შერეობდა და წელა ხადვი კიბებზე, ვერცხვანაც არ გასულიყო, რომ კაცის რაღაცა ზემოხისა. შერე რაღაცა აწილდა და მასწავლიდა.  
მასწავლებელი შეტარა, შერეამ მანც აიბინა კიბები და ათავსე შერეობდა. ცდილებს კაცი აქეთ-იქით ხოლდა, უაყვინეი იქნებდა და იღმარებოდა.  
ქალი კუთხებში მიმდგარიო, ბავშვს ეცხებოდა და გირობდა.  
„ახივები ხართ, კახები — უფროსად ქმარი — ვიცი მე ვარი.“  
მასწავლებელმა იცინია, რომ ერთხელ კიდევ ახადეს თავის ქალა და ქუე-თინი წყალი ჩახსება შუე, ხელები გაუბეჭდა და კანელი დაწეწა. წამო-მოეცინა კიდევ, რომ ასყარულივი ადგილებს დასვლიდა, რომლისთვისაც უნდა დაეცხებოდა, რომ მართლა ვიცი იყო, თორცე დამბავებზედა და გაჩრბოდა. მასწავლებელმა უნდა მოიხედა.  
ქალს იქვე კედელიან მიხვებულე წაღლი ავილი ხელები და მიკენ იხედ-ბოდა.

ახალი შეიხინებული იყო, ქაობები აიწინა წინ, თოვებზე იხუდებდენ, ფეხების ამარტყვებზედ და აველი თავის ძვილ ადვილს ეტყებოდა. ქალს შველი კალთაში ხელს და ირბოდა.  
„როგორღა უნდა ისწავლო, სულ თამბოზდენი“ — უთხრა შეიღს.  
„ადეს არ მიიამბია, ბიჭებს არ მიიამბია.“

ქალი და ბავშვი ისევ იმ კუთხებში იდგნენ. ბიჭი უფერებდა მამის წაღლიან ხელს და ფეხობდა, რომ ბიჭებს საამოლო უნდადა თამბოზდენ იმ-ბანას, არც იყო იქნებოდა, არც ავიანებოდა. ქაიროლად დასცვიდა „მეტეს“ ციფინას და სოფლის დიდ მიხვებებზედ ვაყვინებდა თავის კო-ხის ცხებს.







საქართველოს ბუნებრივი ძეგლების მშენებლობა — აბრსკილის მღვიმე ფართო პოპულარობით სარგებლობს. მარადიულ წყვილადსა და ცივ მღვიმარებაში ჩაფლული ამ „მეორე ქვეყნის“ „არქიტექტორულად“ უზადოდ გაფორმებული მიწისქვეშა დარბაზები, რომლებშიც ბევრგან ჭერ კიდევ დაცულია ბუნების უმანკოება და საოცარი სილამაზე, უწყვეტ ნაკადად იზიდავს ადამიანებს.

აბრსკილი აფხაზური მითოლოგიის გმირის სახელია: აბრსკილის მითი ერთ-ერთი ვარიანტია ამირანის თქმულებისა. როგორ მოხდა, რომ ლეგენდარული გმირის სახელს ატარებს ჩვენი ქვეყნის უდიდესი და ულამაზესი კარსტული მღვიმე?

აფხაზური ლეგენდა გდმოგვცემს, რომ ტიტანური ძალისა და გამტკიცების გონების მქონე აბრსკილი, მედგრად ებრძოდა ავსა და ბოროტ სულებს, ხალხის მხაგრებებს და ვერ ურიგდებოდა ღმერთსაც კი. თავისი მფრინავი რაშით იგი უშიშრად დანავარდობდა მაღლა ღრუბლებში და დედაშიწზე, შიშის წარს ცემდა ხალხის მტრებს. თანამემამულეებმა უსაზღვროდ შეიყვარეს ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი და სიკეთის მთავევი ღვიძლი შვილი, რომლის გმირობის ამბავი შორს გასცდა აფხაზეთის მაღალ მთებს... ღმერთი ვერ შეურიგდა აბრსკილის საქველმოქმედო მოღვაწეობას და გასცა მისსახანე განჯარგულება, რათა იგი შეეპყროთ და სასტიკად დაეცაჯათ. მაგრამ ამ განჯარგულების შესრულება ადვილი როდი იყო; მფრინავი რაშის წყალობით აბრსკილი ყოველთვის ახერხებდა მტრის ხელიდან დასხლტომას. მღვერებმა, ბოროტი ძალის გამოყენებით, მაინც შესძლეს გმირის შეპყრობა და მას სასტიკად გაუსწორდნენ. (აბრსკილი და მისი რაში ერთ-ერთი უდიდესი მღვიმის სიღრმეში რკინის პალოებზე მიაჯაჭვეს) მაგრამ ხალხის დახმარებით, აბრსკილმა თავი დააღწია ტყვეობას და კვლავ რისხვად მოველინა ბოროტებსა და უსამართლობას.

ამ წერილში აღვწერთ აბრსკილის მღვიმეში მოგზაურობას. ეს მღვიმე კოდორის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოტაპის ტერიტორიაზეა.

სამოგზაურად აუცილებელია თან გქონდეთ გზის გასანათებელი, რადგან იქ მარადიული სიბნელე მეფობს.

მღვიმიდან წყარად მოდულუნებს ცივი მდინარე. ეს მდინარე იბადება შორს, მღვიმის სიღრმეში და ათასეული წლების განმავლობაში მან მუყაითად „იშრომა“, გახსნა და გარეცხა სქელი კირქვიანი ქანები, გააჩნა ვრცელი მიწისქვეშა დარბაზები...

შესასვლელთან მღვიმის სიმაღლე 5 მეტრს აღემატება, ხოლო სიგანე ორჯერ მეტია, მღვიმური ნაკადი მთელ ფსკერზეა გაშლილი. რამდენიმე ათეულ მეტრზე გვირაბი სწორხაზობრივად ვრცელდება და მასში დღის შუაში მეტნაკლებად იჭრება. მაგრამ მალე მღვიმე იცვლის მიმართულებას და

თქვენც წყვილადში აღმოჩნდებით. შიგნით ყველაფერი ვარინდებული, ცივი და შიშის სამყაროსადმი კონტრასტულია. ჭერიდან უცნაური „მინერალური მცენარეულობის“ — სტალაქტიტების კორომები „დაგვქვრივ“. ზოგან ისინი ქარბად გვხვდება, ზოგან კი, პირწმინდად „გაუჩქვრივია“.

მღვიმის კედლებზე თქვენ ყურადღებას იპყრობს ბრჭყვილა-ბრჭყვილა კალციტოვანი ფარდები, რომლებიც ზოგჯერ უცნაურ ფორმებს ქმნიან. ძლიერია პირველი შთაბეჭდილება. გგონიათ, ზღაპრებში აღწერილ ქვეყანაში მოხვდით. ამ განცდას აძლიერებს სიბნელე და გრძნეული სიჩუმე, რომელსაც დროდადრო წვეთების წყალში ვარდნით გამოწვეული ხმები თუ არღვევს. მდინარის სიღრმე ზოგან 1 მ-ღე აღწევს. ყველგან „გაგებებდა“ ნაზად ნაზარდი სტალაქტიტები. მოგზაურობა უფა-თერაკოდ მიმდინარეობს; მღვიმის ფსკერზე საერთოდ არ გვხვდება ჩანჩქერები, ღრმა კარსტული ორმოები.

შიგნით წყლის ტემპერატურა მხოლოდ 13 გრადუსია, ჰაერისა კი ოდნავ მეტი. ცალკეულ ადგილებში კირქვიანი შრეების რღვევის შედეგად დარბაზები ვაჩვენია. ერთ-ერთ ასეთ დარბაზს, რომლის სიმაღლე 10 მ, ხოლო სიგანე 20 მეტრს აღწევს, ვეებერთელა სტალაქტიტი ჭალივით ამკობს. დარბაზის ფსკერი დიდი ზომის ლოდებითაა მოფენილი. ზოგან შრეები გამზადებულია ჩამოსაშლელად. ასეთ ადგილებში უნდა შევწყვიტოთ ზედმეტი ხმაური და ვიმობრაოთ ფრთხილად... უკან დარბა წყვილადში ჩაფლული თითქმის სამასი მეტრი... ძირითად მაგისტრალს განშტოება უჩნდება, რომელიც დამრეცი საფეხურით ზემოთ მალდება. აქ მღვიმე ორ სართულიანია. საშუალება გეძლევათ დროებით დატოვოთ ცივი მდინარე. შესასვლელთან ვეებერთელა სტალაგმიტებია აღმართული, დარბაზი ვრცელია, მისი ცალკეული კუთხეები დიდი ხუროთმოძღვრის — ბუნების მიერ ფანტასტიკურად არის მობრთული. მომხიბლავია მისი „არქიტექტურა“.

აი „ჯადოსნური“ ოთახის წინ იმყოფებით რომელსაც, ვინ იცის, რამდენი ასეული და ათასი წლის განმავლობაში, „აშენებდა“ ბუნება. განსაკვირვებელი წესიერებით და გულმოდგინებით არის „ნაქსოვი ოთახის“ ფარდები, რომლის მასალად კალციტია გამოყენებული. მისი იატაკი ზღაპრულად ბრჭყვიალურს... თქვენ, ალბათ, მოისურვებთ „ჯადოსნურ“ ოთახში გასეირნებას, სამახსოვრო სურათის გადაღებას, მაგრამ, ფრთხილად, არ დაზიანოთ წვეთწვეთობით ნაზარდი ეს შესანიშნავი ქმნილება, რომელთა ხილვამ უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მოგანიჭათ. გეძნელებათ ამ უბანს მოშორდეთ, მაგრამ ახლა, დარბაზის სხვა კუთხეებიც ხომ უნდა დაათვალიეროთ! ამჯერად თქვენს ყურადღებას იპყრობს სტალაქტიტების მშვენიერი მწკრივი, მაგრამ, მოითმინეთ, მათ ქვედა ნაწილები არ გააჩნიათ, ისინი უდიდეს მნახველებს შეუბრალებლად დაუმტკვრევიათ და იქვე ფსკერზე დაუყრიათ, თანაც თავიანთი ვინაობის „უკვდავეფის“ მიზნით ბევრი შესანიშნავი ადგილი ჩირადლების ქვარტლით წაუბილწავთ.

ამვე დარბაზში, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მონუმენტური კარსტული სვეტი, რომლის სიმაღლე 8 მეტრამდე აღწევს. იგი ერთ-ერთი უდიდესი და „ხანდაზმული“ კარსტული ნარჩენია არა მარტო აფხაზეთის, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა მღვიმეების მსგავს წარმონაქმნებს შორის. სვეტი უხვად არის დამშვენებული ნაზად და გემოვნებით „ნაქარგი“ კრისტალური არშიებით; დარბაზს სილამაზეს მატებს მინიატურული, საფეხურებრივად განლაგებული მოკაქამე წყალსატევები; რომელიც

ფსკერზეა გაბნეული. აქ-იქ მოიხსნის წვეთების ვარდნის მელოდიური წკაპ-წკუპიც, ბუნება კვლავ შეუსვენებლად მუშაობს, ძერწავს ახალ „სკულპტურულ ნაწარმოებს“. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ეს ღვთაებრივი დარბაზი, რომელიც ორი მხრიდან ძირითად მაგისტრალთან არის დაჯავშინებული, „შედევრია“ აბრსკილის მიწისქვეშეთისა.


ვემშვიდობებით ამ დარბაზს, რომელმაც ენით გამოუთქმელი სიამოვნება მოგვანიჭა და ვბრუნდებით კვლავ მთავარ მაგისტრალზე; გზას ვაგრძელებთ მღვიმარებასა და წყვილადში ჩაფლულ მიწისქვეშეთში... უადრესად ლამაზია სტალაქტიტზე მოჩხრიალე ნაკადული, რომელიც ისეთ ხმას გამოსცემს, გვეგონებათ, ვეებერთელა ჩანჩქერი დიდი სიმაღლიდან ვარდებოდეს. მალე გვირაბი დაბლდება და სვლა ძნელდება: შესასვლელიდან თითქმის 1/2 კილომეტრის დაშორებით აღსანიშნავია წრიული ფორმის დარბაზი — მოსწორებულ თიხოვანი ზედაპირით. აქედან იწყება მღვიმის ძნელად სავალი ნაწილი. დაბალი, წყლით ავსებული გვირაბები (სიმაღლე 1,20-1,5 მეტრი) ენაცვლებიან გიგანტურ, ნგრეულ ლოდთა დარბაზებს. უადრესად მოქანაცველია დაბალ გვირაბებში ფორთხვა. როგორც წესი, ასეთ ადგილებში ჭერი მოფენილია სტალაქტიტების ისეთი ხშირი „ტყით“, რომ მათში ხელის შეყოფაც კი შეუძლებელია. ყოველ მოუფიქრებელ ნაბიჯზე სტალაქტიტები მტკიცეულად „გჩხვლეტენ“, ედებიან ტანსაცმელს და მოგვირდებენ დაკვირვებულ მოძრაობისაკენ. ამიტომ, საჭიროა, წყალში რაც შეიძლება ღრმად ჩაოქება...

აბრსკილის სიღრმეში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უცნაური ფორმის ჰელიქტიტები სტალაქტიტებისაგან განსხვავებით, რომელთაც, ჩვეულებრივ, ვერტიკალური განვითარება ახასიათებთ, ჰელიქტიტების ზრდაში არ შეიმჩნევა რაიმე კანონზომიერება. მათ აქვთ ფრად უცნაური მიმართულებანი. აბრსკილის ჰელიქტიტები უმეტეს წილად ძაფისებურია და შეხებით ადვილად იმტვრევა. საერთოდ ჰელიქტიტების წარმოშობის პირობები ჭერ კიდევ ბევრი იღუმალებით არის მოკუთლი; ერთი კი ცხადია, ისინი აღმოცენებისათვის საჭიროებენ განსაკუთრებულ გარემოს, ამიტომაც მღვიმეებშიც იშვიათად გვხვდებიან. მაგ., საქართველოს მიწისქვეშეთში ეს საინტერესო წარმონაქმნები, 1959 წლის სპელეოლოგიურ სეზონში პირველად აღმოაჩინა გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგიური ლაბორატორიის ექსპედიციამ, რომელშიც ამ სტრუქტურების ავტორი მონაწილეობდა. აბრსკილის ჰელიქტიტოვანი დარბაზის შემდეგ ვიწრო დერიფენებისა და დარბაზების მონაცვლეობით მღვიმე კვლავ ვრცელდება. შესასვლელიდან დაახლოებით 1700 მეტრზე, ვიწრო და დაბალ გვირაბები მთლიანად წყალშია ჩაფლული და აქენენ სიფონებს, რომელთა დაძლევა სპეციალურ საჭურველს მოითხოვს.

ამგვარად, აბრსკილის მიწისქვეშეთში მოგზაურობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. როგორც უკვე ითქვა, იგი მოკლებულია ჩანჩქერებსა და ღრმა ორმოებს, მოძრაობისათვის სხვა სერიოზულ დაბრკოლებებს.

ვიდრე ამ შესანიშნავი ბუნებრივი ძეგლის კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყებოდეს, აუცილებელია მღვიმის შესასვლელს კარი ჩამოვაბათ, რათა დავიცვათ ჭერ კიდევ შეუტყვენი დარბაზები უმეცარი ადამიანებისაგან.

**ზურაბ ბინდილოზივი,**  
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.





# გაყურებენ საშს უკრავს მწკრიბენ

მინლია მოსაგვილი

ვახაბი, თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ცენტრთავდამსხმელმა, მგლის მწერა მის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილ მეკარეს მიაპყრო. მაგრამ, ეს რა ხდება! ჰოი, საოცრებზე ვახაბის თვლებს მსგავსი არაფერი უხილავთ: მეკარე კარის ძელს მიპყრდნობდა და გულიანად იციინის. რამ გადარია ეს კაცი! მყურებელთა სიცილი გასაგებია — ისეთი ფოკუსი გაუკეთა მათ ნაქებ მცველს, თვალბრუნად სულ ნაპერწყმები აყრევინა, აშგვარი ფინტი მკვდარსაც კი გააციინებდა. მაგრამ ამ საცოდავ მეკარეს რა ახარებს, ნუთუ ის, რომ, რამდენიმე წამში „მკვდარი“ ბურთი კარის ბაღს შეუხვევს?

„სიცილს ტირილად შეგიცვლი, ჯამბაზო!“ გაიფიქრა ვახაბი და როცა დამაგვირგვინებელი დარტყმისათვის მოემზადა...

...ფეხებზე უსიამოვნო სიცარიელე იგრძნო... მიწას დახედა, აღარსად იყო ბურთი...

...გულში რაღაცამ გაჰკრა, თავში საშინელმა ექვმა გაუელვია. მოტრიალდა. ამას რას ხედავს: ცენტრალური მცველი მიწაზე წამოწოლილა და ბურთი ფეხებში მოუშვებდა.

თურქი უოველივეს მიხვდა. უეცარმა ელდამ თვალთ დაუბნელა, გონება აერია. შერცხვენილი საჩარბო მოედნიდან გაბრუნდა.

...სტადიონზე აღარავინ იცინოდა. ახლა ტრიბუნებს მჭუხარე ოვაცია აწანწარებდა. მყურებელი შეძახილი-

ბით მიესალმებოდა თავისი თანამემამულის, ანდრო უორდანიას შესანიშნავ ოსტატობას.

ალტაცება გასაგები იყო: ანდრო უორდანიამ, როგორც ფეხბურთელეში იტყვიან, ისე „სუფთად“ ააცალა ბურთი თურქების ცენტრალურ თავდამსხმელს, რომ ამ მრავალბრძოლაგადახდილმა ფეხბურთელმა ვერაფერი გაიგო, კარგა ხანს უბურთოდ ირბინა და მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის მარცხს, როცა მეკარის პირისპირ გავიდა.

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, 1938 წლის ზაფხულში, ივანოვოში, ადგილობრივი და თურქეთის ეროვნული ნაკრები გუნდების საერთაშორისო ასპარეზობის დროს. მაშინ ივანოვოელეებმა ანგარიშით 7:3 სასტიკი დამარცხება აწვინეს თურქეთიდან ჩამოსულ სტუმრებს. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ წინა თამაში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან თურქმა ფეხბურთელეებმა თავისი გამარჯვებით 1:0 დაასრულეს, ცხადი გახდება, როგორც ამ მატჩის პრინციპული მნიშვნელობა, ისე მოპოვებული გამარჯვების სიღირსე.

ამ დიდი მატჩის მთელი 90 წუთის მანძილზე ანდრო უორდანიამ უშეცდომოდ შეასრულა ცენტრალური მცველის რთული მოვალეობა. მან „ურულ ჩაკეტა“ იმ დროისათვის ევროპაში სახელგანთქმული ვახაბი, თავის სამოქმედო უბანზე თურქი თავდამსხმელი არ გააჰქანა და ივანო-

ვოელთა წარმატებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა.

საქართველოში ფეხბურთის ერთ-ერთი ფუძემდებლის, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი დამაარსებლის, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის უცვლელი წევრის, გაურღვეველი მცველის, ფეხბურთის შესანიშნავი ტექნიკოსის და გამოჩენილი ტაქტიკოსის ანდრო უორდანიას სახელი განუყრელად არის დაკავშირებული სამამულო ფეხბურთის ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვებებთან 1925-1938 წლებში.

მას შემდეგ ბევრმა ბრძოლებმა გადაიჭახტეს საფეხბურთო მიწებზე. სწრაფმავალ დროს თავისი გაჰკონდა: საბურთაო სარბიელს ერთი სტოვებდნენ, მეორენი ეუფლებოდნენ, თაობას თაობა სცვლიდა. 1937 წელს, როცა თამაში ქურდულად პირველი ჭაღარა შემოებარა, ანდრო უორდანიამ ბურთი და მოედანი ახალგაზრდებს დაუთმო.

მაგრამ ანდრო უორდანიას საყვარელი სპორტისათვის არ უღალატია. 1938 წლიდან იგი სამწვრთნელო სამუშაოზე გადავიდა.

15 წელიწადია ანდრო უორდანიას საქართველოს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს წვრთნის. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის წამყვანმა კოლექტივებმა თბილისის „დინამომ“, „სპარტაკმა“, ქუთაისის „ტორპედომ“ არა ერთჯერის მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს, როგორც საკავშირო პირველობაზე, ისე საერთაშორისო შეხვედრებში.

ხშირად ამბობენ: ანდრომ მოთამაშეების პოვნა იცისო.

ასეც არის!

15 წლის განმავლობაში ანდრო უორდანიამ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებული მრავალი ჭაბუკი „აღმოაჩინა“ და ქართულ ფეხბურთის დიდოსტატთა არა ერთი დაორი თაობა აღუზარდა.

ა. ლოლობერიძე, ა. ზაზროშვილი, ს. ჭეჭელავა, ნ. ძიპაშვილი, გ. ანთაძე, ვ. მარღანი, ვ. სანაია, რ. მახარაძე, მ. პირავეი, ა. პაიჭაძე, კ. გაგნიძე, ა. კოტრიკაძე, ა. ნორაკიძე, ზ. კალოევი, გ. ხოჭოლავა, ბ. ხასია, შ. იამანიძე, ი. გრამატიკოპული. ს. კოტრიკაძე, ა. კვაჭაძე და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენია — ანდრო უორდანიას გამჭრიახი თვლით „ნაპოვნია“ და მისი მადლიანი ხელით დაზრდილ-დავაჟიანებული.

ა. უორდანიას სამწვრთნელო ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თბილისის „სპარტაკს“. ეს ახალგაზრდა კოლექტივი ა. უორდანიას ხელმძღვანელობით სულ მალე დაწინაურდა „ბ“ კლასიდან „ა“ კლასში გადავიდა და მყურებელთა საერთო აღიარება მოიპოვა.

და ბოლოს ქართველ სპორტის მოყვარულთათვის დაუვიწყარი 1959 წელი — თბილისის „დინამოს“ კვლავ „ფეხზე დადგომის“ წელი, — შეუძლებელია ანდრო უორდანიას სახელის გარეშე წარმოვიდგინოთ.

ჩვენს წინაშეა დღიური მწვრთნე-

ლის დღიური, რომელშიც სისტემატური ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებები გუნდის ამა თუ იმ წევრზე, მათი ტექნიკურ-ტაქტიკური სიძველეს განვითარებაზე, მუდმივ კოლექტივის საერთო პერსპექტივებზე და ბევრ სხვა ისეთ „წვირილმანზე“, რომლებსაც გულშემატკივარი უურნალ-ვაზეთების ფურცლებზე ძალზე იშვიათად შეხვდება.

ეს ტყავის ყლიანი რვეული ანდრომ წიგნებით სავსე კარადიდან გადმოიღო. სულმოუთქმელად გადავიკითხე. რამდენი რამ გავიგე დინამოელ ბიჭებზე, რამდენი რამ გახდა ჩემთვის ნათელი და გასაგები; დავრწმუნდი: ჩვენ, გულშემატკივრები, ხშირად არაობიექტური და ზოგჯერ მეტისმეტად მკაცრი მსაჯულები ვართ ცალკეული მოთამაშეების მიმართ, — ვერ ვამჩნევთ ზოგიერთი ფეხბურთელის „ფარულ“ ნიჭს, ანდა პირიქით, ალტაცებაში მოყვარულ შედარებით მდარე მოთამაშის იაფფასიან ილეთებს და მას თავშეუკავებლად ქება-დიდებას ვასხამთ. ახალბედა ფეხბურთელში თვალთ უხილავი მარგალიტების დანახვის უნარით ბუნებას მწვრთნელების მხოლოდ ერთი ნაწილი დაუკვირდებოდა და ჩემს წინაშე მდებარე დღიურის ფურცლები მაჭერებენ, რომ მათ რიცხვს ანდრო უორდანიაც ეკუთვნის.

დღიურის ზოგიერთი სტრიქონი ერთგვარი „წინასწარმეტყველებითაა“ სუნთქავს, რაც მწვრთნელის ღრმა ანალიზიდან გამომდინარეობს და საფუძველს მოკლებული არ არის. მაგალითად, აქ ნათქვამია იმის შესახებ, თუ ოსტატობის რა დონეს მიღწევენ ჩოხელი, მეღაშვილი, კოტრიკაძე, იამანიძე, მესხი და სხვები რამდენიმე წლის შემდეგ, ლაპარაკია თვითეული მათგანის პერსპექტივებზე. სჯობს თვითონ ავტორს დაუფიქროს თუ არა. მწვრთნელის წერს: „იამანიძე, მესხი და მეღაშვილი თანამედროვე ფეხბურთში“...

მაგრამ, მპატიეთ... მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. საქმე ისაა, რომ პატივცემულმა ანდრომ მთხოვა: რასაც მის დღიურში წავიკითხავდი საიდუმლოდ შემენახა და საქვეყნოდ არ გამეზნაურებინა. მეც სიტყვა მივეცი, გულშემატკივრის პატიოსანი სიტყვა. ახლა კი, პირველი შემთხვევისთანავე ჩემი დაუდევრობით პირობა კინაღამ დავარღვიე.

მწვრთნელი არ სცდება. ახლა დღემილი სჯობს. ყოველგვარი წინასწარმეტყველება ნაადრევი იქნება. სწორთა დღეში ვინ ვის გაასწრებს — დრო გვიჩვენებს, როცა თვითეული ფეხბურთელი თავისი სპორტული ცხოვრების გრძელი შარავის უკანასკნელ სწორზე გავა — მაშინ უკეთესად გამოჩნდება მჯობნის მჯობნი, ვინ იქნებიან ჩვენი ფეხბურთის პაიჭაძეები და ლოლობერიძეები... გამოჩენილი ქართველი პოეტის თქმისა არ იყოს: „მწვერვალზე გამოჩნდება და დაფნული თავები“...





# უსსოფი

— გამარჯობათ ბატონო დოქტორო! მე მსურდა რჩევა მეკითხა თქვენთვის ჩემი კუკის შესახებ.

— ბოდიში, მაგრამ ბატონო ბობ, მე ხომ ფილოსოფიის დოქტორი ვარ!

— ფილოსოფიის?! ღმერთო ჩემო, რამდენი ავადმყოფობა არსებობს ამ ქვეყანაში!

\*\*\*

— გუსტავ, აი ჩვენ უკვე თხუთმეტი წელია დანიშნული ვართ. დროა უკვე ქორწინებაზეც ვიფიქროთ.

— ეს, ამალია, ამაზე მეც ბევრი მიფიქრია, მაგრამ ვიღას უნდევიათ ახლა ჩვენ?

\*\*\*

პატარა ბიჭი ლობესთან მიმდგარიყო და ტიროდა. ამ დროს ერთმა კაცმა ჩაიარა და ჰკითხა: რა ვატირებსო?

— პეტერმა ლობეს იქით ბუტერბროტი გადასიგდო.

— რაიმე განზრახვით?

— არა, გემრიელი ძეხვით. — მიუგო სლუკუნით ბავშვმა.

\*\*\*

— ბატონო ექიმო, თუ შეიძლება პირდაპირ მითხარით რა მჭირს?

— ეს არც ასე ადვილად შეიძლება აგინხნათ, ბატონო დიმიტრი. თქვენ ძალზე ბევრს სვამთ და ცოტას მუშაობთ.

— ძალიან კარგი, ბატონო ექიმო, — შეიშმუშნა დიმიტრი — ახლა მითხარით როგორ იქნება ეს ყველაფერი ლათინურად, რომ ჩემ ცოლს მოვახსენო?

## სტენოგრაფია

სტენოგრაფია (სწრაფი წერის ხელოვნება) გამოიგონა რომის დიდი ორატორის ციცირონის (ცხ. 106-43 წ. ჩვენს ერამდე) მონამ, მარკ გულიენ ტირონმა. პირველად სტენოგრაფიული წესით ჩაწერილი იყო ციცირონის ცნობილი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ, წარმოთქმული რომის სენატში. 30 წლის შემდეგ სტენოგრაფია სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული რომის 300 სკოლაში.

## ყინულებით დაზარული უსაზღვროება

ჩვენი საბჭოთა კავშირის ხმელეთის 47% დაზარულია მუდმივი ყინულებით, რაც ფართობზე გადაყვანით უდრის 10 მლ. კვ. კილომეტრს.

## ამერიკელი პროფესორი გვარწმუნებს

ერთი ამერიკელი პროფესორი, რომელმაც 160 სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში 16000 გაზომვა-განგარიშება აწარმოა, გვარწმუნებს: თვითეული ადამიანი ყოველ წელში ჩაისუნთქავს 900 მლ. მტვრის ნაწილას, მათ შორის 90 მლ. ფილტვებში რჩება.

## სპილო-პარობატი

რამდენად მოუქნელი ჩანს სპილო, იმდენად წარმოიდგინეთ, მიუხედავად სიდიდისა, ის სხვა ცხოველებისაგან გამოირჩევა აკრობატიული უნარით. სპილო არათუ ადვილად დგება როგორც უკანა, ისე წინა ფეხებზე, არამედ თავით, ყირამაღა დადგომასაც კი ახერხებს.

## ალუფოთიებალი ცხოველი

სამამულო ომის ხანებში, საპაერო თავდასხმების ხმაური ცხენებს იმდენად აფეთებდა, რომ მათი დამშვიდება მეტად ძნელი ხდებოდა. თხები კი, ამ ამბავს სრული სიმშვიდით ხედვოდნენ. თუ საჯინიბოში, დაბომბვის დროს, ცხენებთან ერთად

საინჟინერო

ინჟინერი

საინჟინერო

თხაც იყო, ცხენები, ხელაღმწევი რა თავიანთი ალუ-შფოთებელ უშიშარ მეზობელს, ჩქარა მშვიდდებოდნენ.


## მოღები და... ანატომია

პარიკი — შემოიტანა ლუდოვიკ XIV, რომელიც პარკის ქვეშ თავზე დიდ სიმსივნეს მალავდა.


მოკლე სახელოები — შემოიტანა ანა ავსტრიელმა, რომლის ხელები გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით.

გრძელი შლიეფი — შემოიტანეს ლუდოვიკ IX ქალიშვილებმა, რომლებსაც ძალიან დიდი ტერფები ჰქონდათ.

მაღალი ქუსლები — შემოიტანა მარკიზა კომპალურმა, რომელიც მეტისმეტად დაბალი იყო.



გარეკანის პირველ გვერდზე: კინომახიობ სოფ. ჭიაურელის პორტრეტი. მხ. ვ. ხნიანი  
მეოთხე გვერდზე: სამხრეთ-ოხეთის ხალხური ცეკვის ანსამბლი. ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.









ნახატი-ხუმრობა  
ფრანგული შურნალიდან.

რედაქტორი გრ. აბაშიძე. საარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. ღურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ. მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა, ი. ტაბალა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე  
საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ვ. ხნიანი. ტექნიკური დ. სეფიაშვილი  
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. ტელ. — რედაქტორის და პ. მგ. მდივანის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.  
ხელმოწერილია დახაბეჭდად 1/VI-60 წ. გამოც. № 56. ჯად. ზომა 70x108 1/8, 1,5 ჯად. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.  
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 25.000. შეკ. № 807, უე 00035

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии  
საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.







19.13/37

